# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 17 აგვისტო. 2017 წ. №165 (8302), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## მშვიდობა დიალოგს ითხოვს! ⑤




## SOS: მკვლელობა ქალაქის ცენტრში!

**თბილისში**, მთაწმინდაზე მკვლელობა მოხდა. არსებული ინფორმაციით, მოკლულია ახალგაზრდა მამაკაცი. როგორც ირკვევა, ფეხით მიმავალ მამაკაცს მოტოციკლზე მჯდომმა პირმა ესროლა და ადგილიდან მიიმალა. გაირკვა, რომ მოკლული მამაკაცი 45 წლამდე ასაკისაა.

მკვლელობა, სავარაუდოდ, აღბეჭდეს მიმდებარე პერიმეტრზე დამონტაჟებულმა სათვალთვალო კამერებმა. კამერები დამონტაჟებულია ვილნიუსის ბაღში, საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე მდებარე კაფესა და მთაწმინდაზე ასასვლელ მატარებელთან. რაც შეეხება დამნაშავეს ის ადგილიდან მიიმალა.

## ფონიჭალაში სპეცოპერაციისას დაკავებულმა ჯაფაროვმა ბრალი აღიარა

**ფონიჭალაში** რამდენიმე დღის წინ ჩატარებული სპეცოპერაციისას დაკავებულმა ელნურ ჯაფაროვმა წაყენებული ბრალი აღიარა. ჯაფაროვმა განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოში პროცესის მიმდინარეობის დროს გააკეთა და თქვა, რომ გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის მზად არის.

დაცვის მხარემ სასამართლოს, მისი დაცვის ქვეშ მყოფის გათავისუფლების სანაცვლოდ, 5000-ლარიანი გირაო შესთავაზა, თუმცა ჯაფაროვი პატიმრობაში დატოვეს. ჯაფაროვს ბრალად ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა-გასაღება ედება. საქმეზე წინასასამართლო სხდომა 2 ოქტომბერს გაიმართება.

## ნუგზარ ფოფხაძე: ეს განაჩენია! უფრო ზუსტად, სამომავლო განაჩენი! ③

## გოგიტა ჯვებენავა: მწამს, ბოროტზე სიკეთე გაიმარჯვებს!

## რკინიგზა: დაჩი ცაგურია პეტრიაშვილს ამასხარავებს!

## პროფკავშირების პასუხი ცაგურიას ②

## ხმაურის გამო პოლიცია გამოვიძახეთ, მაგრამ შესაბამისი აპარატურა არ აღმოაჩნდათ!

### დღეის პოლიტიკურ რუკაზე

# რაც შეეხება ცოცვას...

## რუსებს ქართველი ნაციონალები არაფრით არ ჩამოუვარდებიან

**ან იქნებ ბევრად ამეტებენ კიდეც. ისინი მიწა-წყალს იპარავენ, მძიმე-მძიმედ გადმოაქვთ საზღვარი, ახალ-ახალ მავთულხლართებს აბამენ. ეს თავიანთ ნებაზე მიშვებული ნაციონალები კი მიამიტი ადამიანების სულებსა და გულებში ავლებენ იმედგაცრუებისა და გულგატეხილობის მავთულხლართებს. თავიანთ სასარგებლოდ აფართოებენ სიღარიბისა და სიდუხჭირის ისედაც ფართო საზღვრებს და ხელიდან არ უშვებენ არც ერთ შანსს დაქირავებულ პროვოკატორთაგან პოლიტიკურად გაუთვითცნობიერებელი ადამიანების ხელისუფლების წინააღმდეგ შესაგულიანებლად.**

ერთი სიტყვით, რუსი ოკუპანტები ჩვენს მიწა-წყალზე ცოცავენ, მცოცავ პოლიტიკას ეწევიან, ხოლო ქართველი ნაციონალი ოკუპანტები ჩვენს სულებსა და გულებში ახორციელებენ ანტისახელმწიფოებრივ მცოცავ პოლიტიკას... და ასე ნელ-ნელა მიჰყავთ საზოგადოება სამოქალაქო დაპირისპირებისკენ, რასაც, როგორც რთველს, ამ შემოდგომისთვის გვპირდებიან...

ღმერთმა არა ქნას, მაგრამ, ცხადია, ეს არ იქნება კარგი რთველი, ამ ძალიან ცუდ რთველს, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი მოსავალი მოჰყვება. საქართველო კიდევ ერთხელ აღმოჩნდება საბედისწერო მოლიპულ გზაზე.

და, ბუნებრივია, ყველა წესიერი მამულიშვილის თავში ჩნდება კითხვა: რას აკეთებს ამ დროს ხელისუფლება, რას უპირისპირებს უკვე ქვეყნის სათავეში ისევ მოსასვლელად ყველა უბედურებაზე წამსვლელ, ახალი ტაქტიკითა და სტრატეგიით შეიარაღებულ ნაციონალებს, რომლებიც გაშლილი ფრონტით მოქმედებენ მოურიდებლად, აშკარად და არა მარტო პოლიტიკური ანტისანიტარიის შედეგად გაჩენილ უამრავ მუქთახორა პარტიასთან და საგანგებოდ სახენაშლილ გადამთიელთაგან ნაყიდ ეგრეთ წოდებულ არასამთავრობოებთან ერთად, არამედ თვით რატომღაც ქვეყნის პირველ პირად და ქვეყნისავე მთავარსარდლად წოდებული პრეზიდენტის გვერდიგვერდ.

კი, ბატონო, ჯერ კიდევ როდის ბრძანებდა ბრძენი პლატონი ქვეყანას ფილოსოფოსები უნდა მართავდნენო. საქართველო ამ თვალსაზრისით დღეს, ალბათ, ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სწორედაც ფილოსოფოსი გვიზის პირველ კაცად, მაგრამ მერე რა?! ვითომ მართავს ეს ფილოსოფოსი კაცი ქვეყანას?!



მოქალაქეთა უმრავლესობის აზრით, თითქმის მეხუთე წელიწადია, ხელისუფლებასა და პრეზიდენტს ურთიერთშორის დამოკიდებულება ვერ გაურკვევიათ. მარგველაშვილი, ფაქტობროვად, ხელისუფლების კრიჭაში ჩამდგარი ოპოზიციის პრეზიდენტია, რომელიც, გამორიცხული არ არის, რომ საქართველოს მოქალაქეობას აღუდგენს მართლმსაჯულებისთვის ჯერჯერობით თავდაძვრენილ სააკაშვილს, რომლის მიერ აგებული სასახლე ანტისახელმწიფოებრივი შეკრებების ადგილად აქცია.

ამ სასახლის გარდა, ისევ ნაციონალების ხელშია იდეოლოგიის ისეთი „ბუკი და ნაღარა“, როგორიც „ცრუსთავი-2“-ია, რომელიც დღედაღამ დაუშრომლად ამზადებს ამ შემოდგომისთვის სამოქალაქო დაპირისპირების რთველს...

„ოცნება“ კი ძველი ქართული სიდარბაისლით მიჰყვება ცხოვრების პოლიტიკურ დინებას.

ჩვენც მეტი რა დაგვრჩენია, დავდგეთ და ვიოცნებოთ, მით უმეტეს, რომ ოცნებას ჯერ კაცი არ მოუკლავს!

რუსმა და ქართველმა ნაციონალურმა ოკუპანტებმა კი იცოცონ, ბატონო, იცოცონ, ვნახოთ ერთი, ჩვენ როდემდე ვიოცნებებთ და ისინი როდემდე იცოცებენ!

**გურამ წიკლაური**



## დევიდ ლი ნოდარ ხადურს ეყრდნობა

ევროპული ბიზნეს-ასოციაციის ხელმძღვანელი საქართველოში დევიდ ლი საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარეს ნოდარ ხადურს შეხვდა. **„როგორც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, კონკურენციის თემა ასოციაციისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. მჯერა, სააგენტო, ნოდარ ხადურის ხელმძღვანელობით, სამომავლოდ მნიშვნელოვნად გაძლიერდება და მსოფლიო ასპარეზზე ღირსეულ სიტყვას იტყვის,“** — განაცხადა შეხვედრაზე დევიდ ლიმ, რომელიც საქართველოში 10 წელზე მეტია საქმიანობს.

ასოციაციის გახსნის ცერემონია 2017 წლის 25 ივლისს გაიმართა და საქმიანობის მთავარი მიზნებია:

**— საქართველოში ევროპული ბიზნესის ადვოკატირება;**

**— საქართველოსა და ევროპას შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობა.**

ასოციაციაში გაწევრიანებული არიან — ევროპული ბაზრის ლიდერი კომპანიები, რომლებიც საქართველოში არიან წარმოდგენილი და ასევე ქართული კომპანიები, რომლებიც ევროკავშირთან ვაჭრობით არიან დაინტერესებული.

მხარეებმა თანამშრომლობისათვის მზადყოფნა გამოთქვეს და საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით, სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

## დიალოგის მზაობის იმიტაციად?!

**„რესპუბლიკური პარტია“ საკონსტიტუციო ცვლილებებზე მმართველი გუნდის შეთავაზებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.**

როგორც პარტიის განცხადებაშია აღნიშნული, **უმრავლესობის ლიდერის მოწოდება და მზაობა, დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან კვალიფიციურ ოპოზიციურ პარტიებთან ერთად, არის კიდევ ერთი მცდელობა, შექმნან დიალოგისა და კომპრომისის მზაობის იმიტაცია.**

**„ქართული ოცნების“ მიერ ორი მოსმენით მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების, საზოგადოების, პოლიტიკური პარტიების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მკვეთრად უარყოფითად შეფასებამ, ხელისუფლება მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. გუშინ უმრავლესობის ლიდერის მოწოდება და მზაობა, დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან კვალიფიციურ ოპოზიციურ პარტიებთან ერთად, არის კიდევ ერთი მცდელობა, შექმნან დიალოგისა და კომპრომისის მზაობის იმიტაცია. თუმცა, მთლიანი პროცესის გათვალისწინებით, „ქართული ოცნების“ მიერ სხვადასხვა დროს გაკეთებული განცხადებების გაანალიზებით, ჩვენ ვთვლით, რომ ხელისუფლებისთვის კომპრომისი შეუძლებელი და მიუღებელია.**

**ასეთ ვითარებაში, ოპოზიციური პარტიების განცხადება, სადაც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ 2020 წლიდან პროპორციული საარჩევნო სისტემით უნდა ჩატარდეს არჩევნები, მეტწილად ასახავს რესპუბლიკური პარტიის არაერთხელ გამოხატულ პოზიციებს და იმ წითელ ხაზს, რომელზეც გადის ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პერსპექტივა.**

**განსაკუთრებით აღსანიშნავია, ჩვენ მიერ არაერთხელ ხაზგასმული მიდგომა, რომ გადაუნაწილებელი მანდატები უნდა განაწილდეს სამართლიანად, ანუ პროპორციულად ბარიერგადალახულ სუბიექტებს შორის და არა შემოთავაზებული ბონუს სისტემით, რაც ასევე, მკაფიოდაა ასახული პარტიების ერთობლივ განცხადებაში.**




**თუმცა, ვერ დავეთანხმებით იმ მიდგომას, რომ საარჩევნო ბარიერისა და ბლოკების საკითხი სუფთა ფურცლიდან უნდა დავიწყოთ. ეს ხელისუფლება ასეთ ნდობას არ იმსახურებს.**

**ჩვენი ღრმა რწმენით, ერთჯერადად შემოთავაზებული 3%- იანი ბარიერი უნდა იქცეს ძირითად ნორმად. ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია სრულიად უბარიერო სისტემაც. ამიტომ, ერთგული ვრჩებით საკუთარი პოზიციის და ვთვლით, რომ საარჩევნო ბარიერი უნდა იყოს არა უმეტეს 3%- ისა“,** — ნათქვამია განცხადებაში.

## მმართველი გუნდი ოპოზიციასთან შეხვედრამდე კომენტარებს აღარ გააკეთებს

**მმართველი გუნდის გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხზე კომენტარები მათ მხრიდან, ოპოზიციასთან შეხვედრამდე აღარ გაკეთდება.**

მმართველმა გუნდმა ოპოზიციურ პარტიებს საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხზე შეხვედრა შესთავაზა. ოპოზიციამ შეხვედრაში მონაწილეობის მზადყოფნა დააფიქსირა, თუმცა გუშინ გავრცელებულ ერთობლივ განცხადებაში, მმართველ გუნდთან კონსენსუსის წინაპირობად 2020 წლის არჩევნების პროპორციული წესით ჩატარება დაასახელა. მმართველი გუნდისა და ოპოზიციის შეხვედრის ზუსტი თარიღი მოგვიანებით გახდება ცნობილი. საორგანიზაციო საკითხზე უმრავლესობის აპარატი მუშაობს.

## ხმაურის გამო პოლიცია გამოვიძახეთ, მაგრამ შესაბამისი აპარატურა არ აღმოაჩნდათ!

ხმაურის შესახებ მიღებული ახალი რეგულაციები 15 აგვისტოდან ამოქმედდა. თუმცა, მოსახლეობის ნაწილი აცხადებს, რომ 112-ში დარეკვის შემდეგ ადგილზე გამოცხადებული საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ამბობენ, რომ ისინი სპეციალური აპარატურით, ე.წ. ხმაურმზომებით აღჭურვილები არ არიან.

**„წლებია, რაც დაბა ურეკში სააგარაკო სახლი მაქვს და რესტორნის ხმაური მაწუხებს. წინა წლებში პატრული მათ გაჩუმებას ახერხებდა, მაგრამ წელს უკვე გამოუვალი სიტუაციაა. როცა აქ მუსიკა უკრავს, ამ სახლში მცხოვრებლებს ერთმანეთის ყვირილიც კი არ გვესმის, ბავშვები ვერ იძინებენ, ურეკი კი საბავშვო კურორტია.**

**ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ, 112-ში დავრეკე, ადგილზე მოსულმა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მითხრეს, რომ სპეციალური აპარატურა არ ჰქონდათ. გადავიდნენ და უბრალოდ სთხოვეს, თუ შეგიძლიათ ხმამაღლა არ დაუკრათო. რა თქმა უნდა, მათ ეს არ გაუთვალისწინებიათ. შსს პასუხისმგებლობას ირიდებს, ამბობს რომ აპარატურა დარიგებული აქვთ, მაგრამ რეალურად ასე არ არის“,** — აცხადებს „ჯი-ეიჩ-ენ“-თან თეონა ჯაყელი, რომელიც დაბა ურეკში სააგარაკო სახლის მფლობელია.

შსს-ში კი აცხადებენ, რომ საქართველოს მასშტაბით საკმარისი რაოდენობის სპეციალური აპარატურა აქვთ იმისთვის, რომ ყველა შემთხვევაზე რეაგირება მოახდინონ, თუკი კანონდარღვევა დაფიქსირდება. **„თუ შეტყობინება 11 საათის შემდეგ არ იყო შემოსული, უფლება არ გვქონდა, სიტყვიერი გაფრთხილების გარდა სხვა რამ გაგვეკეთებინა“,** — აცხადებენ შსს-ში.

## ლილოში ჩატარებული სპეცოპერაციისას დაკავებული ზურაბ ზვიადაურის ბიძაშვილია

**თბილისში, ლილოში ჩატარებული სპეცოპერაციისას დაკავებული გიორგი არდოტელი ყოფილი პარლამენტარის ზურაბ ზვიადაურის ბიძაშვილია, ამის შესახებ არდოტელის მეზობლებმა ჟურნალისტებს განუცხადეს.**

დაკავებული გიორგი არდოტელი ამჟამად პირველ კლინიკურ საავადმყოფოში იმყოფება. დაკავების შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის დაჭრილი იყო, თუმცა შსს-ში აცხადებენ, რომ მან დაკავებისას გაქცევა სცადა, რა დროსაც ფეხი დაიზიანა.

როგორც ადგილობრივებმა განაცხადეს, სპეცოპერაციისას მათ სროლის ხმა გაიგეს.

**ცნობისთვის, გიორგი არდოტელი 2013 წლიდან იძებნებოდა. მას სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის დარღვევაში ედება ბრალი, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს. შსს-ს ინფორმაციით, მან 2013 წელს ერთი პირი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა და მიიმალა.**



## რკინიგზა: დაჩი ცაგურია პეტრიაშვილს ამასხარავებს!



**უკვე მეორე დღეა, ვუყურებთ სააკაშვილის სიბინძურეში აღმოცენებული, არშემდგარი პოლიტიკოსის ირაკლი პეტრიაშვილის მიერ მოწყობილ პროვოკაციას,** — აცხადებს საქართველოს რკინიგზის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მიმდინარე აქციასთან დაკავშირებით. დაჩი ცაგურია ამბობს, რომ რკინიგზელები შეცდომაში არიან შეყვანილები:

**„ადამიანების ჯგუფი წლებია, მას შემდეგ, რაც სააკაშვილი აღარ არის ხელისუფლებაში, ცდილობს, მუდმივად მოაწყოს პროვოკაციები, ხოლო მის დროს სიამის კატასავით ფეხებს უთბობდა სააკაშვილს და მის გუნდს. მაშინ არასოდეს გახსენებია მშრომელთა უფლებები. დღეს ასეთი გულადი გახდა. ეს ადამიანები არიან შეცდომაში შეყვანილები პეტრიაშვილის ჯგუფის მიერ, რომლებიც მუდმივად სიცრუეს ავრცელებენ. ეს ადამიანები არ არიან რკინიგზელთა ინტერესებზე ორიენტირებული, ისინი რკინიგზელთა ფულით აფინანსებდნენ ყოველთვიურად ირაკლი პეტრიაშვილის წინასაარჩევნო კამპანიას. ჩვენ ამას ვხედავდით, ირაკლი პეტრიაშვილმა ერთი პროცენტიც კი ვერ მოაგროვა, ის არის გაკოტრებული პოლიტიკოსი და შანსი არა აქვს და არც არასოდეს ექნება.**

**ეს ადამიანები იგივე ხელფასით არიან გადაყვანილები ახალ სამუშაო ადგილზე. განცხადებები, თითქოს ამ ადამიანებს საცხოვრებლითა და ტრანსპორტით არ უზრუნველვყოფდით, ეს არის სიცრუე. მივმართავ თხოვნით, რომ რაც შეიძლება მალე გამოცხადნენ, ვინაიდან საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმე აკისრიათ. მათ უნდა შეასრულონ ლიანდაგის შემოწმება, რადგან იქ ტვირთთან ერთად სამგზავრო მატარებელი დადის. ვთხოვ, რომ კარგად გააცნობიერონ პასუხისმგებლობა, დროულად გამოცხადდნენ სამსახურში, რადგან ჩვენ უკვე იძულებული ვიქნებით, რაღაც გადაწყვეტილება მივიღოთ. მოვუწოდებ, რომ ნუ აყვებიან პეტრიაშვილის პროვოკაციებს, რადგან პეტრიაშვილი თავის გრანტებს და რკინიგზელების ფულს ისევ წაიღებს და იმ თავის სქელ ქონს კიდევ უფრო მეტად გაისქელებს“,** — განაცხადა ცაგურიამ.

## პროფკავშირების პასუხი ცაგურიას

რკინიგზის ახალი პროფკავშირების თავმჯდომარე ვიტალი გიორგაძე „პირველ რადიოსთან“ საუბარში დაჩი ცაგურიას განცხადებას პროვოკაციულს უწოდებს, რომელსაც გიორგაძის თქმით, ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვება:

**„არავინ მოშიმშილეებთან არ გამოსულა და მათთვის პასუხი არ გაუცია. ამის ნაცვლად ცაგურია გამოდის და პროვოკაციულ განცხადებებს აკეთებს. არ მოსულა არც ერთ დასაქმებულთან და არ უთქვამს, შემობრძანდით და გავარკვიოთ ყველაფერიო. რკინიგზა არის სახელმწიფო ორგანიზაცია, სადაც ჩინოვნიკებს ნიშნავს ქვეყნის მთავრობა. ისეთი ჩინოვნიკის მიერ გაკეთებული განცხადება, როგორიც დაჩი ცაგურიაა, პროფკავშირის ხელმძღვანელის წინააღმდეგ, შეიძლება იქნას აღქმული როგორც პროფკავშირების წინააღმდეგ მიმართული ანტიკამპანია, რასაც ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვება. ეჭვი მაქვს, ცაგურია ამას აცნობიერებდეს, იმიტომ, რომ მისი გონებრივი შესაძლებლობების მქონე ადამიანები ასეთ რაღაცებს ვერ ხვდებიან, მაგრამ სახელმწიფო კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის მხრიდან კეთდება ძალიან ცუდი განცხადებები. ცაგურია არის პროვოკატორი და ეს არის პროვოკაცია საქართველოს პროფკავშრების წინააღმდეგ“,** — აცხადებს გიორგაძე. რაც შეეხება მიმდინარე აქციას, რკინიგზის ახალი პროფკავშირების თავმჯდომარე ამბობს, რომ მოშიმშილეებს ხელმძღვანელობასთან დაკავშირების მცდელობა გასულ ღამესაც ჰქონდათ, თუმცა უშედეგოდ:

**„მოშიმშილეებს წუხელაც ჰქონდათ მცდელობა დაკავშირებოდნენ ხელმძღვანელებს, მაგრამ ისინი ტელეფონებს არ იღებდნენ. ხომ ამბობენ, რომ მოვიდნენ სამსახურშიო? მოსულები არიან ეს ხალხი რკინიგზის დეპარტამენტის შენობის წინ და ელოდებიან ხელმძღვანელების მხრიდან განმარტებებს — სად წავიდნენ და აკმაყოფილებენ თუ არა მათ მოთხოვნებს“,** — განაცხადა რკინიგზის ახალი პროფკავშირების თავმჯდომარემ ვიტალი გიორგაძემ.

◉ მართლმადიდებლის სიტყვა

# მწამს, ბოროტზე სიკეთე გაიმარჯვებს!



**მსოფლიოში ქრისტიანული სამყაროს წინააღმდეგ უდიდესი ბრძოლა მიმდინარეობს და სწორედ ამ ყველაფრის ანარეკლია ის, რაც საქართველოში ხდება!**

ჩვენ ვხედავთ, გვესმის და ვგრძნობთ, თუ როგორ ესხმის დედაეკლესიას ბოროტი ძალა თავს და, როგორ ცდილობს ყველანაირი გზით მისთვის ზიანის მიყენებას!

იგი ცდილობს ჩვენი უფლისადმი რწმენისა და სიყვარულის დაშლას, მფარველი ეკლესიის გარეშე დარჩენილი საქართველოს დაქუცმაცებას და ბოლოს, ჩვენი ქვეყნის, როგორც მართლმადიდებლური სამყაროს უდიდესი ნაწილის, სრულად განადგურებას!

მართლმადიდებლობასთან ერთად იგი დაუნდობლად ებრძვის სიმართლის მადიდებელ ერს და ამავდროულად ყველაფერს ქართულს — ენას, ისტორიას, კულტურას, ოჯახსა და, რაც მთავარია, დაუმარცხებელ ქართულ სულს!

**სამარცხვინოა და მრცხვენია,** რომ დღეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში **ქონებშესხმულ ადამიანთა დიდი ნაწილი ადამიანობის წინააღმდეგ** გამოდის და ხმადაბლა მოსაუბრე უფლის წინაშე ჩვენი დედაეკლესიის ქონებაზე ხმამაღლა საუბრობს!

**დღეს** სიმართლით სავსე მამაოებს სასამართლოებს უწყობენ!

**დღეს** ბერმონაზვნებს სახნავსათეს მიწებს უთვლიან მაშინ, როცა უცხო ქვეყნის მოქალაქეები ქართულ მიწას თავისად მიიჩნევენ და მას საქართველოში ქართველებს გვითვლიან!

**დღეს** უთვალავი მანქანის ქვეყანაში მღვდლებს მანქანებს უანგარიშებენ!

**დღეს** უფლის სიყვარულით განათებულ სასულიერო სასწავლებლებს განათლების ხარისხს უმოწმებენ!

**დღეს** მაფიოზებად ქცეულნი და ქვეყნის გამყიდველებად გადაქცეულნი, საპატრიარქოში ვითომდა არსებულ კლანებზე თხზავენ ზღაპრულ-ზღაპრებს!

**დღეს** სასულიერო პირების დაუსრულებელ და უსაფუძვლო კრიტიკოსებად ვართ ქცეულნი და ვერც კი ვხვდებით, რომ ამით ისევ ჩვენ ვართ წაქცეულნი!

**ასევე მრცხვენია** იმ ქართული მედიის ნაცვლადაც, რომლის დიდ ნაწილსაც ეს ყველაფერი ცხელი კერძის სახით უდევს წინ და ერსა და ბერში განვითარებული დაპირისპირებით ვერ ძღება!

**მე მჯერა,** მიუხედავად ქვეყანაში არსებული გარკვეული პრობლემებისა, ერთსულოვნება გაუტეხელია!

**დარწმუნებული** გახლავართ, დედაეკლესიის სიწმინდეში, სიძლიერესა და ქართველ მართლმადიდებელ სასულიერო პირთა კეთილგონიერებაში, რადგან სწორედ ეს გახლავთ ის ძლიერი და სუფთა საძირკველი, რაზეც ჩვენი სამშობლო დგას. საძირკველი, რომელიც ჩვენი ხელით კი არ უნდა დავანგრიოთ, არამედ უნდა გავუფრთხილდეთ მას და მასზევე განვაგრძოთ ქვეყნის მომავლის სწორი გზით შენება, რაც ბოლოს ქვეყნის აღმშენებლობამდე მიგვიყვანს.

**მე მწამს,** რომ უფლის წყალობით საქართველო ქართველებთან ერთად ბოროტზე სიკეთითა და სიყვარულით გაიმარჯვებს!

**გოგიტა ჯვებენავა,**
**მხატვარი**

◉ სამწუხაროდ, ასეა ეს!

# ეს განაჩენია! უფრო ზუსტად, სამომავლო განაჩენი!



**SOS!!! SOS!!! SOS!!!**

„150-მა ჩვენ მიერ არჩეულმა კაცმა, ერთად აღებულმა, ერთი ილია მაინც უნდა „შეადგინოსო", ბრძანებს ლევან ღვინჯილია.

მდაააა!!!!

ეს განაჩენია! უფრო ზუსტად, სამომავლო განაჩენი!

მძიმე კაცია, თავისი ხასიათით, ბატონი ლევან ღვინჯილია, უმძიმესი...

და, თქვენ წარმოიდგინეთ, ეს არის... ბედნიერება!

დიახ, ბედნიერება, რამეთუ, წარმოუდგენელია მშობლიურ ენას პატრონობდნენ მსუბუქი, შემრიგებლური ხასიათის, პატრიოტული თემებით და საკითხებით „მოთამაშე", ზერელე ადამიანები!..

ვისაც ჯერ არს, შევუძახებ: თუ იმას ელოდებით, როდის დაიღლება ღვინჯილია, როდის შეურიგდება თქვენს „რამენაღვლეობას", ცდებით, თანაც, მწარედ!

არ დაიღლება!

არ შეურიგდება!

არ წავა არავითარ კომპრომისზე იმათთან, ვისაც „არ ენაღვლება" ბედი დედისა ერისა...



და ამაზე კიდევ ერთხელ მეტყველებს ეს მძიმედ მოსასმენი სატელევიზიო გამოსვლა, რაც ნახევარმილიონიანმა აუდიტორიამ ნახა და 18 ათასამდე გაიზიარა, რომელიც თავისი „სიმწარით" არც პირველია და, ალბათ, არც უკანასკნელი, მაგრამ... მანევრირებისთვის კიდევ არის არეალი დატოვებული: უფრო „უარესს", პირდაპირ თუ ვიტყვით, მორალურ „ჩაქოლვას" უნდა ელოდონ ისინი, ვინც „მტრობს" (აშკარად თუ არა, ზერელობით მაინც, პასიურობით, უსაქმურობით...) მშობლიურ ენას.

ამ „პერსპექტივაში" ღრმად ვარ დარწმუნებული, რამეთუ კარგად ვიცნობ: 35 წლის წინათ საქართველოს ტელევიზიის ეკრანზე პირველად გამოჩნდა ეს კაცი საკუთარი ყოველკვირეული საავტორო გადაცემით და იმ დღიდან საჯაროდ (მანამდე ენათმეცნიერების ინსტიტუტში) ხმალამოწვდილი იბრძვის, დაუღალავად, სამაგალითოდ...

ისიც კარგად ვიცი: სისხლს „გაგიშრობთ"!

და ამ „სისხლის გაშრობაში" მის გვერდით იქნება ყველა მამულიშვილი. თოვლის გუნდასავით აგორდება მერე ეს მოძრაობა და...

ამიტომ გირჩევთ: გაინძერით!

გულწრფელ მადლობასთან ერთად დღეგრძელობა და წარმატება არ მოაკლდეთ დედაენის კანონის მომზადების და გზის გაკვალვის ტვირთის მატარებლებს: ლევან ღვინჯილიას, დიდ ქალბატონებს მზექალა შანიძეს და გუჩა კვარაცხელიას, ბატონებს გიორგი გოგოლაშვილს, ავთანდილ არაბულს, როინ მეტრეველს, ჯონი ხეცურიანს, ვაჟა შენგელიას, თამაზ გამყრელიძეს... კიდევ ბევრ სხვა პატრიოტ და სახელმწიფო აზროვნების ადამიანს, ამ მეწინავეთა მსგავს „უმძიმეს" ხალხს, რომელთა „აუტანლობა", უწინარესად, გამოიხატება შეუპოვრობაში, პრინციპულობაში, სიხისტეში, შეურიგებლობაში, უკომპრომისობაში, რაც დღეს ასე რიგად სჭირდება ქართული ენის სიწმინდისთვის, მისი განვითარებისთვის, მისი გადარჩენისთვის ბრძოლას.



არადა, დამოუკიდებელ(!) საქართველოში ეს ბრძოლა არ უნდა ყოფილიყო საჭირო.

სამწუხაროდ, ასეა ეს!

**ნუგზარ ფოფხაძე**

# მსოფლიო ბანკთან ახალი შეთანხმება გაფორმდა

**საქართველოს მთავრობამ და მსოფლიო ბანკმა გააფორმეს საკრედიტო ხელშეკრულება რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკის 44.6 მლნ. ევროს მოცულობის სესხის გამოყოფასთან დაკავშირებით განვითარების პოლიტიკის მეორე პროგრამული ღონისძიებისთვის კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.** ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა და სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა მერსი თემბონმა.

**„მოხარული ვარ, რომ მსოფლიო ბანკი ასე აქტიურად განაგრძობს ჩვენი ქვეყნის კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და ბიზნეს გარემოს მხარდაჭერას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის ზრდასა და სტაბილურ განვითარებას, ცხოვრების დონის გაუმჯობესებას და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების წახალისებას,"** — განაცხადა საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.



**„აღნიშნული ღონისძიებით მხარდაჭერილი რეფორმების პაკეტი მკაფიოდ მიუთითებს მთავრობის განზრახვაზე დანერგოს პოლიტიკის ჩარჩო, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას და ეკონომიკურ ზრდას მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების პარალელურად,"** — აღნიშნა სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა მერსი თემბონმა.

# საქართველო – რეგიონის საავიაციო ჰაბი...

**„საქაერონავიგაციაში" მიიჩნევენ, რომ საქართველო სატრანზიტო ჰაბად ყალიბდება და ქვეყანას შეუძლია პარტნიორი ქვეყნებისთვის მიმზიდველი საჰაერო სივრცითაც გახდეს.**

„საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით შეუძლია, უმოკლესი მარშრუტების მეშვეობით ხმელეთის მსგავსად, ჰაერითაც დააკავშიროს ერთმანეთთან აზია და ევროპა. საქართველოს საჰაერო სივრცე მოკლე და მოსახერხებელი დამაკავშირებელია ევროპასა და აზიას შორის, ამბობენ საქაერონავიგაციაში.

საქართველოს საჰაერო სივრცისადმი დაინტერესების დასტურად „საქაერონავიგაციაში" საჰაერო ტრანზიტების რაოდენობის ზრდაზე მიანიშნებენ და განმარტავენ, რომ დღეს „საქაერონავიგაცია" საქართველოს საჰაერო სივრცეში ტრანზიტულ ხომალდებს 19 მარშრუტზე ემსახურება. „ბოლო 4 წლის განმავლობაში დაემატა 6 ახალი საჰაერო მარშრუტი, რის შედეგადაც საქართველო სატრანზიტო კუთხით კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა ავიაკომპანიებისთვის".

თუ 10-15 წლის წინათ საქართველოს საჰაერო სივრცეში დღე-ღამეში 80 საჰაერო ხომალდი დაფრინავდა, ამჟამად ფრენების რიცხვმა 500-ს გადააჭარბა. 6 თვის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს შპს „საქაერონავიგაცია" 64 407 ფრენას მოემსახურა, რაც 13.6%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

# ველოსიპედებით პეკინის გზაზე

**ველოსიპედებისთვის გამოიყოფა დაახლოებით 900-მეტრიანი ზოლი, სადაც ორმხრივი მოძრაობა იქნება შესაძლებელი,** — ამის შესახებ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ განაცხადა.

**„დღევანდელ სხდომაზე ტექნიკური საკითხები განვიხილეთ, მათ შორის: როგორ იქნება განლაგებული პარკირების სისტემა სამკუთხედზე — პეკინი-შარტავა-კოსტავას ქუჩებზე; ასევე „Bus lane"-ები, რა ფართი იქნება მათთვის გამოყოფილი. პარკირების მიმართულებით, კოსტავას ქუჩაზე იცვლება დგომა, გაკეთდება 45-გრადუსიანი დგომა, რათა მეტი სატრანსპორტო საშუალება დაეტიოს, ასევე, სააკაძის მოედანს ემატება 60 ერთეული პარკირების ადგილი. ეს იყო ის საკითხები, რომლებიც გავიარეთ და საპატრულო პოლიციასთან შევთანხმდით. პეკინის ქუჩაზე ფაქტობრივად გადაწყვეტილია ველობილიკის მოწყობა. ველოსიპედებისთვის გამოიყოფა დაახლოებით 900-მეტრიანი ზოლი, სადაც ორმხრივი მოძრაობა იქნება შესაძლებელი",** — განაცხადა მამუკა მუმლაძემ.

# როგორ დაიწყო რუსეთმა საქართველოს „დახვეწილი წამება“?!




1992 **წლის** აგვისტოსათვის შეიქმნა ვითარება, როდესაც საქართველოს ხელისუფლება ან უნდა შერიგებოდა აფხაზეთის ფაქტობრივ დაკარგვას და მის გამოსვლას საქართველოს იურისდიქციიდან ან დაეწყო ომი.

რამდენიმე წლის შემდეგ აქტუალური გახდა კითხვა (პათეტიკურ-ბრალმდებლური ინტონაციით): „განა ამ ომის თავიდან აცილება არ შეიძლებოდა?“

სამართლიანი და ობიექტური (უემოციო) პასუხი ამ კითხვაზე ერთადერთია: რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო უომრად შეურიგდებოდა იმას, რომ აფხაზეთი აღარ არის საქართველო. ეს კი აბსოლუტურად არარეალური იყო ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში. მით უმეტეს იმ ხელისუფლებისა, რომელიც ძალით მოვიდა და საზოგადოებისათვის თავისი „ეროვნულობის“ დადასტურება სჭირდებოდა. ეს ხელისუფლება აფხაზეთის ომს განიხილავდა ლეგიტიმაციის საშუალებად, ოღონდ ეს არ ნიშნავს, თითქოს ნებისმიერ სხვა (თუნდაც არქილეგიტიმურ) ხელისუფლებას ქართველი საზოგადოება არ აიძულებდა, დაეწყო ომი აფხაზეთის შესანარჩუნებლად.

ბუნებრივია, ომის ინიციატორები იმედოვნებდნენ, რომ ომი სეპარატისტებთან გახლეჩილი ქართველი საზოგადოების კონსოლიდირებას გამოიწვევდა. მაგრამ ეს იმედიც მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. არადა, რაოდენ ცინიკურიც არ უნდა ყოფილიყო ასეთი გათვლა, მაღალი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შეგნების საზოგადოებაში, იგი შედეგს უეჭველად გამოიღებდა.

რისკის ფაქტორი აფხაზეთის ომთან დაკავშირებით მაინც იმდენად მაღალი იყო, სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმშიც იჩინა თავი აზრთა სხვადასხვაობამ. ედუარდ შევარდნაძისათვის ეს ომი ყველაზე ნაკლებ სასურველი იყო, ვინაიდან მან კარგად იცოდა, რომ მთელი პასუხისმგებლობა მას და მხოლოდ მას დაეკისრებოდა. ამით აიხნება ფარული ბრძოლა სახელმწიფო საბჭოშიც, გვარდიის შეყვანა-არშეყვანასთან დაკავშირებით.

სხვათა შორის, იმ „სახელმწიფო საბჭოში“ წარმოდგენილ პარტიათა უმრავლესობა შემდგომ ტყუილად ცდილობდა პასუხისმგებლობისაგან თავის დაძვრენას და ყველაფრის „ოთხეულისათვის“ დაბრალებას. მათაც შესანიშნავად ესმოდათ საკუთარი ინტერესები: ახლოვდებოდა 11 ოქტომბრის არჩევნები, საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილში მკვიდრდებოდა სტერეოტიპი „მე აღარცერთ არჩევნებში აღარ მივიღებ მონაწილეობას“, ამდენად საჭირო იყო ისეთი ვითარების შექმნა, როცა ხალხს დაავიწყდებოდა ყველაფერი (მათ შორის „ზვიადი“) და შეძრწუნებული მივიდოდა არჩევნებზე. ანუ ომი აფხაზეთში განიხილებოდა ერთგვარ „შოკურ თერაპიად“ ქართველი საზოგადოების გამოსაყვანად შიდა დაპირისპირების მდგომარეობიდან.

სახელმწიფო საბჭოში წარმოდგენილი „პოლიტოკრატია“ ამას აცნობიერებდა და ეთანხმებოდა თვით მეთოდს, – ოღონდ კი ჩატარებულიყო 11 ოქტომბერს არჩევნები, ჩაშლილიყო ბოიკოტი (მათ შორის სამეგრელოში), არჩეულიყო პარლამენტი და, რაღა თქმა უნდა, თვითონაც შესულიყო იმ პარლამენტში.

აქედან გამომდინარე, სულაც არ გახლავთ გასაკვირი, თუ სახელმწიფო საბჭომ დაადასტურა გვარდიის აფხაზეთში შესვლის მიზანშეწონილობა. თუმცა, აქ არის ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი ნიუანსი: როცა სახელმწიფო საბჭომ ეს გადაწყვეტილება მიიღო, მაშინ გვარდიის ზოგიერთი ნაწილი უკვე დაძრული იყო აფხაზეთისაკენ. სიგუა-კიტოვანმა ნაცად ხერხს მიმართეს: მათ ფაქტის წინაშე დააყენეს შევარდნაძეც, პოლიტოკრატიაც და საზოგადოებაც.

სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას: დაახლოებით ივლისის ბოლოსთვის სიგუა-კიტოვანს აფხაზეთში ომის დაწყება (ზემოთ აღწერილი მიზნით) უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ. თანაც არა „რკინიგზის დასაცავად“, არამედ სწორედ სეპარატისტებთან საომრად.

მეორე მხრივ, აფსუა სეპარატისტებსაც მიეცათ შანსი, როგორიც მხოლოდ საუკუნეში და ათასწლეულში ერთხელ ეძლევათ.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 164

## ომი აფხაზეთში 25 წლის წინათ დაიწყო...

ამ შანსს ისინი ხელიდან არ გაუშვებდნენ. ამიტომ უდიდესი დემაგოგიაა იმის თქმა, თითქოს „რომ არა აფხაზეთში გვარდიის შეყვანა, ამ ტერიტორიას საქართველო არ დაკარგავდა“. მაგრამ კიტოვანის მოქმედებამ საშუალება მისცა სეპარატისტებს, მთელი მსოფლიოს წინაშე დაეფიქსირებინათ: ომი დაიწყო სწორედ საქართველომ 1992 წლის 14 აგვისტოს. ფაქტის ფიქსაციას ასეთ შემთხვევაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამით აფსუები კიდევ უფრო მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდნენ პოლიტიკური თვალსაზრისით. მით უმეტეს, რომ ძალიან ოსტატურად და ეშმაკურად შექმნეს ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ისინი საქართველოსთან მოლაპარაკების გზით ცდილობდნენ ყველა პრობლემის გადაწყვეტას, ხოლო „საქართველოს მცირე იმპერიამ“ ძალის გამოყენება არჩია და აფხაზეთში ტანკები შეიყვანა. სინამდვილეში მოლაპარაკება მაშინაც ისეთივე ბლეფი იყო, როგორც შემდგომში. არძინბა თანახმა გახლდათ შეხვედროდა შევარდნაძეს, მაგრამ არა აფხაზეთის ტერიტორიაზე, არამედ სოჭში ან მოსკოვში, რათა კიდევ ერთხელ დაედასტურებინა, რომ აფხაზეთი არ არის საქართველო. ედუარდ შევარდნაძე, ამაზე, რასაკვირველია ვერ წავიდოდა.

ზემოთ თქმულის მიუხედავად, შევარდნაძეს აფხაზეთში ომის დაწყება ზვიადისტთა ამბოხზე გაცილებით დიდ რისკად მიაჩნდა, მაგრამ პროცესთა მართვის სადავეები უფრო კიტოვან-სიგუა-იოსელიანს ეპყრათ ხელთ - გვარდია და მხედრიონი სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარეს არ ემორჩილებოდა. ტრადიციულად მისი ერთგული პოლიცია კი მაშინ ჯერ კიდევ უმწეო ჩანდა.

* * *

13 **აგვისტოს** რესპუბლიკის მოედანზე ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. ამ დროს გვარდია (დაახლოებით სამი ათასი შეიარაღებული ადამიანი) ახალციხის დივიზიიდან რუსების მიერ სწორედ მაშინ გადმოცემული 50 მოძველებული ტანკით უკვე დაიძრა აფხაზეთისკენ. მიტინგზე იმდროინდელი საზოგადოებრივი ატმოსფეროსათვის დამახასიათებელი „დიდი იმედგაცრუება“ და ისტერიული აპათია იგრძნობოდა.

* * *

14 **აგვისტოს**, შუადღეს, სოხუმთან უკვე საარტილერიო კანონადა ისმოდა. გვარდიამ დესანტი გადასხა გაგრაში. „ჩვენი კარგი ნაცნობი“, გენერალი სუფიან ბეპაევი ქუთაისიდან ურეკავს კიტოვანს: „Желаю успеха“.

კიტოვანი წყალტუბოში ქეიფობს რუს გენერლებთან ერთად. ამ უკანასკნელთ ოდნავ შესამჩნევად ეღიმებათ.

პირველივე დღეს (ანუ 14 აგვისტოს) მხვერპლი ორივე მხრიდან 50-ს აღწევს. ტელეკომპანია РТР-ის კორესპონდენტი (სოხუმიდან): „Примирение уже невозможно после того что произошло. А россий надо действовать очень осторожно, чтоб не потерять свои козыри“.

საქართველოს სამხედრო შვეულმფრენი სოხუმი დამსვენებლებით სავსე სანაპიროს ბომბავს. ე.წ. „მთიელ ხალხთა კონფედერაცია“ „ქართული ეროვნების ყველა პირს“ მძევლად აცხადებს – გვარდიის გაყვანასა და ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს. Независимая газета კონფედერაციის პრეზიდენტის მუსა შანიბოვის სიტყვებს აქვეყნებს: „„Если вам не будут мешать, мы сломим хребет грузинскому фашизму“.

ბორის ელცინიც აცხადებს ოფიციალურად: „Мы убеждены в необходимости вывода гвардии из абхазии“. მისი თქმით, „საფრთხე შეექმნა სტაბილურობას უზარმაზარ, მრავალეროვან რეგიონში.“ ედუარდ შევარდნაძეს ტელეფონით უკავშირდება ჩრდილოეთ კავკასიის უკლებლივ ყველა რესპუბლიკის ლიდერი და „შეშფოთებით“ კითხულობს: რა ხდება აფხაზეთში?

ზვიად გამსახურდია დისკრედიტირებულია, ვინაიდან იმყოფება გროზნოში – კონფედერაციის ბუნაგში. აფხაზეთში ომის ინიციატორებს ეს მომენტიც გათვალისწინებული ჰქონდათ: ძნელი გასათვლელი არ იყო, რომ ჩეჩნები უმალვე აღმოჩნდებოდნენ აფხაზეთში, ხოლო „მათთან ჩახუტებული ექსპრეზიდენტისა“ და მისი მომხრეების მიმართ ახალი, მართლაც ძნელად მოსაგერიებელი არგუმენტები შეიქმნებოდა.

შევარდნაძე იძულებულია, თანხმობა განაცხადოს განჯიდან გუდაუთაში, ბომბორას სამხედრო აეროდრომზე სწორედ იმ 345-ე საპარაშუტო სადესანტო პოლკის გადასროლის წინადადებაზე, რომელიც 9 აპრილს მოქმედებდა თბილისში – ეს რუსული გენერალიტეტის პირველი შურისძიებაა: იგი საქართველოს „დახვეწილ წამებას“ იწყებს.

ბორის ელცინი მოსკოვში პრესკონფერენციას მართავს. რუსეთის პრეზიდენტი აშკარად კმაყოფილია, მისი სახელმწიფოებრივი კონცეფცია იმარჯვებს - ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები ქაოსში ეფლობიან: „...Я звонил Китовани, я звонил Шеварднадзе...“

ერთ-ერთი რუსი ჟურნალისტი ეკითხება ელცინს: „ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც თეთრი სახლის დაცვისას ჩვენთან იყო, ახლა უკვე ხელები სისხლში აქვს მოსვრილი – რა შეგვიძლია გავაკეთოთ მოძმე აფხაზი ხალხისთვის?“

სულეიმან დემირელი ჰუმანიტარულ დახმარებას უგზავნის არძინბას და, ამავე დროს, აკეთებს განცხადებას, რომლითაც აშკარავდება მისი სიმპათია სეპარატისტებისადმი.

აფხაზთა მცირე ჯგუფი დემონსტრაციას მართავს ვაშინგტონში, თეთრ სახლთან. მოვლენას იმავე საღამოს ფართოდ აშუქებს რუსეთის ტელევიზია. წარწერა ტრანსპორანტზე: „Шеварднадзе демократ? – вот так шутка!“

გაზეთი „არგუმენტთ ი ფაკტი“ გვთხრის: „სოხუმის მაიმუნთსაშენში მაიმუნებს შიდსის ვირუსი აღმოაჩნდათ - ამბობენ, ქართველებმა გადასდესო“.

სერგეი ბაბურინი გუდაუთაში ხვდება არძინბას, შემდეგ კი სოხუმში ქართველ ჟურნალისტს ეუბნება: „Вы разрушили советской союз и хотели спокойно отсидется, но спокойной жизни у вас не будет“.

ლეონიდ პარფიონოვი მეორე გადაცემას აკეთებს ციკლიდან „პორტრეტ ნა ფონე“. ფილმი მთავრდება იმით, რომ აფხაზეთის თვალწარმტაც სანახებში, ორღობესთან ღორი მიძუნძულებს.

რუსული შოვინიზმისათვის, ყველა ქართველთმოძულე ინტელექტუალის – დემოკრატისა თუ კომუნისტისთვის სულიერი ზეიმისა და ტრიუმფის ჟამი დადგა! საქართველოს სიძულვილით, ამპარტავანი „გრუზუნების“ (თუ უკვე „გრიზუნების“) სამაგალითო, საშვილიშვილო დასჯის წყურვილით ყველანი ერთიანდებიან: მოსკოველი ლიბერალებიდან რუსულ გენერალიტეტამდე და ჩრდილოკავკასიელ ნაციონალისტებამდე...

**ნიკა იმნაიშვილი**

## „თბილისობა 2017“ 7-8 ოქტომბერს გაიმართება

**სახალხო დღესასწაული წელსაც მასშტაბური იქნება და მთელ ქალაქს მოიცავს, მთავარი ლოკაციები კი „ახალი ტფილისი“, რიყე და ლეღვთახევი იქნება. „თბილისობა 2017“-ის ფარგლებში, მოეწყობა სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებები, საბავშვო-გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებები, კულინარიული გამოფენა-გაყიდვები, სასოფლო-სამეურნეო ბაზრობები და სხვ. ყოველწლიურ საშემოდგომო დღესასწაულზე ყველა თაობის წარმომადგენელი მისთვის საინტერესო ღონისძიებაზე დასწრებას შეძლებს. თბილისობის სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით, თბილისის მერიაში უკვე შექმნილია დედაქალაქის მთავრობის წევრებისგან დაკომპლექტებული კომისია, რომელიც ღონისძიების სრულყოფილად და შეუფერხებლად ჩატარებას უზრუნველყოფს.**

**ღონისძიებასთან დაკავშირებული ნებისმიერი განაცხადი (პროექტი, იდეა, მოსაზრება, წინადადება) მერიაში მიმდინარე წლის 8 სექტემბრამდე მიიღება, რის შემდეგაც, სახალხო დღესასწაულამდე 1 თვით ადრე, წინამოსამზადებელი სამუშაოები აქტიურ ფაზაში გადავა. დაინტერესებულ პირებს განაცხადების შემოტანა თბილისის მერიის კანცელარიაში (შარტავას ქ. №7), კულტურის საქალაქო სამსახურის სახელზე შეუძლიათ.**



# შვეიცარია ენგურჰესის გავლით ჩვენს შერიგებას ცდილობს!




**1-2 აგვისტოს სტამბოლში ენერგეტიკულ საკითხებთან დაკავშირებით ქართული, აფხაზური და რუსული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრა გაიმართა. შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შუამავლობით გამართული შეხვედრის მონაწილეებმა ოკუპირებული აფხაზეთის ენერგომომარაგების, ენგურჰესის ტექნიკური მდგომარეობისა და კომპლექსური ენერგოუსაფრთხოების საკითხები განიხილეს.**

აფხაზური მედიის ინფორმაციით, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ენგურის ჰიდროელექტროსადგური და სოხუმისა და თბილისის ერთობლივ სარგებლობაში არსებული სხვა ჰესები (ვარდნილჰესები) კრიტიკულ მდგომარეობაშია და სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს.

**„ენერგეტიკის სფეროს ექსპერტები თვლიან, რომ შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი აფხაზეთის ენერგომომარაგების სისტემის რეფორმირებაა, რაც არა მარტო ენგურჰესის რეაბილიტაციისა და ელექტროგადამცემი ხაზების რემონტის შესაძლებლობას შექმნის, არამედ აფხაზეთს ჭარბი ელექტროენერგიის გაყიდვიდან ფინანსურ შემოსავალსაც მოუტანს. ქართველმა ენერგეტიკოსებმა გამოთქვეს მზადყოფნა, აფხაზეთისგან ჭარბი ელექტროენერგია შეისყიდონ“** — იუწყებოდა ცოტა ხნის წინათ აფხაზური მედია.

„აქცენტი“ ხსენებული შეხვედრის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს დაუკავშირდა. თუმცა უწყებაში განგვიცხადეს, რომ **„სტამბოლში გამართული შეხვედრის შესახებ ოფიციალურად ინფორმირებულები არ ყოფილან და სამინისტროს წარმომადგენლებს მასში მონაწილეობა არ მიუღიათ“.**

როგორც ცნობილია, ენგურჰესის წყალსაცავი — საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ხოლო ჰესის შენობა და აგრეგატები ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს. ამის მიუხედავად, ენგურჰესის ოპერირებას საქართველოს ეროვნული სადისპეტჩერო სამსახური ახორციელებს. არსებული საოკუპაციო რეჟიმის მიუხედავად, გასული წლების განმავლობაში ენგურჰესის ფუნქციონირება არ შეფერხებულა.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ ამ მხრივ პრობლემებს არც შემდგომში ელიან.

**„ჩვენ ჰესის სარეაბილიტაციო და პროფილაქტიკურ სამუშაოებს მონიტორინგს ვუწევთ. ენგურჰესის ექსპლუატაციის სრულ ხარჯს ფარავს სახელმწიფო კომპანია შპს „ენგურჰესი“. აფხაზეთი არის საქართველოს ტერიტორია და, შესაბამისად, ჩვენ უზრუნველვყოფთ მის სრულ ელექტრომომარაგებას. მიუხედავად კონფლიქტისა და აფხაზეთის ოკუპაციასთან დაკავშირებული სირთულეებისა, ენგურჰესი ისევე აწვდის ელექტროენერგიას აფხაზეთს, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ნებისმიერ კუთხეს“,** — განუცხადეს „აქცენტს“ ენერგეტიკის სამინისტროში.

რაც შეეხება ქართული მხარის ჩართულობას ენგურჰესის რეაბილიტაციაში, როგორც უწყებაში განმარტავენ, ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციაზე 2004-2016 წლებში 150 მლნ ლარამდეა დახარჯული; აღნიშნული თანხის დიდი ნაწილი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდანაა მიღებული, ხოლო 31 მლნ ლარი საქართველოს ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

**„რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარე წელსაც არის დაგეგმილი. სამუშაოები საქართველოს ბიუჯეტიდან 910 ათასი ლარით დაფინანსდება, ხოლო ევროპის საინვესტიციო ბანკი ამისათვის 3,5 მლნ ევროს გამოყოფს“,** — აცხადებენ უწყებაში.

„აქცენტი“ შეხვედრის ერთ-ერთ უშუალო მონაწილეს — საქართველოს ენერგეტიკის ექსმინისტრს, საქართველოს მაღალი კაშხლების ეროვნული კომიტეტის თავჯდომარეს **დავით მირცხულავასაც** დაუკავშირდა.

მისი ინფორმაციით, ხსენებულ შეხვედრაზე ენგურჰესის კასკადის ჰესების ტექნიკური მდგომარეობა და მათი რეაბილიტაციის აუცილებლობის საკითხები განხილვის ერთ-ერთი და არა ერთადერთი თემა იყო. მირცხულავას თქმით, პრეზენტაციები და საუბრები ასევე შეეხო აფხაზეთში ქსელების რეაბილიტაციასა და აღრიცხვიანობის სისტემის მოწესრიგებას, ელექტროენერგიის ტარიფს, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და ა.შ.

— ბოლო 10 წლის განმავლობაში აფხაზეთში ელექტროენერგიის მოხმარება უზარმაზარი ტემპებით იზრდება. თვითონ განსაჯეთ: აფხაზეთი, რომლის მოსახლეობა ფაქტობრივად 160 000 ადამიანს შეადგენს, იმდენივე ელექტროენერგიას მოიხმარს, რამდენსაც თბილისი — 1 500 000-იანი ქალაქი (დაახლოებით 1,9 მლრდ კვტ/სთ). რეალურად, ენგურის მიერ გამომუშავებული ენერგიიდან დანარჩენ საქართველოს მხოლოდ 50% მიეწოდება, შემოდგომა-ზამთრის თვეებში კი — საერთოდ არაფერი. ამასთან, აფხაზეთში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი ძალიან დაბალია. შეხვედრაზე სწორედ იმაზე ვისაუბრეთ, რომ ელექტროენერგიის იქაურმა მომხმარებლებმა საფასურის გადახდა უნდა დაიწყონ და ენგურჰესმა მის მიერ გამომუშავებული ენერგიის თითქმის 48%-ის საფასური აუცილებლად უნდა მიიღოს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საჭიროა ასევე, აფხაზურმა მხარემ დაიწყოს ქსელების რეაბილიტაცია და აღრიცხვიანობის მოწესრიგება, მოსახლეობისა და კომერციული სექტორისთვის გონივრული ტარიფის განსაზღვრა, — ისეთი ტარიფისა, რომელშიც სხვებთან ერთად, ელექტროენერგიის გენერაციის კომპონენტიც იქნება გათვალისწინებული. სხვა თუ არაფერი, ენგურის რეაბილიტაციისთვის „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან“ 32-მილიონიანი კრედიტია აღებული და მისი მომსახურება სწორედ ენგურჰესის ელექტროენერგიის გაყიდვის გზით უნდა მოხდეს.

**— აფხაზური მედიის ინფორმაციით, შეხვედრაზე ქართველმა ენერგეტიკოსებმა გამოთქვეს მზადყოფნა, ოკუპირებული აფხაზეთისგან ჭარბი ელექტროენერგია შეისყიდონ...**

— არა, ასე არ იყო. თუ დაადგენენ რეალურ ტარიფს, აღრიცხვიანობას მოაწესრიგებენ და ქსელში დანაკარგების მინიმიზირება მოხდება, პრაქტიკულად, ამით მათი მოხმარება ძალზე საგრძნობლად შემცირდება. ენგურის კასკადის ჰესებს გაუჩნდებათ მეტი ჭარბი ენერგია და ეს ენერგია აუცილებლად გაიყიდება, — ამაზეა ლაპარაკი. აფხაზეთის მოხმარება იქნება გაცილებით ნაკლები (60%-40%) იმ შეთანხმებით გათვალისწინებულზე (ენგურჰესის ენერგიაზე), რომელიც ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის 1993 წლიდან მოქმედებს. დღეს კი აფხაზეთს ენერგია ფაქტობრივად უფასოდ მიეწოდება და გაცილებით მეტი, ვიდრე ზემოთ აღნიშნული 40%-ია.

**— რამდენადაც ვიცით, შეხვედრას რუსული მხარის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. რა სტატუსით?**

— ეს შვეიცარიის სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული შეხვედრა იყო, შესაბამისად, მასში ჩართულობასაც შვეიცარიის მთავრობა განსაზღვრავდა. ეს არ იყო სამთავრობო შეხვედრა. მასში საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. რუსული მხარეც არასამთავრობო ორგანიზაციის ექსპერტების დონეზე იყო წარმოდგენილი და მათ საკუთარი მოსაზრებები დააფიქსირეს, მაგალითად, ქსელების რეაბილიტაციის აუცილებლობაზე.

**— ოკუპირებული აფხაზეთიდან ვინ იყო წარმოდგენილი?**

— აფხაზური მხრიდან შეხვედრას საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საერთოდ, ეს აფხაზურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან პირველი შეხვედრა იყო. მსგავსი შეხვედრების ორგანიზებაზე შვეიცარია ძალიან ინტენსიურად მუშაობს. ამით იგი კონფლიქტების მოგვარების ხელშეწყობას ცდილობს.

ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო, თუნდაც იმიტომ, რომ აფხაზურ მედიაში გაჩნდა ინფორმაცია ქსელების რეაბილიტაციის შესახებ. ერთი სტატია იყო ჭარბი ენერგიის გაყიდვაზე, ყველა დანარჩენში ქსელების რეაბილიტაციის აუცილებლობაზე მახვილდებოდა ყურადღება, საუბარი იყო ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვაზეც. მაგალითად, ინტერნეტ-გამოცემებში შემხვდა ინფორმაცია ქსელების რეაბილიტაციის, აღრიცხვიანობის მოწესრიგების აუცილებლობაზე.

**მარი ჩუბინიძე,**

მასალა მომზადებულია პროექტის „ინტეგრირება ინფორმირებით“ ფარგლებში, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის მხარდაჭერით.

## საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება ,,აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) მიერ ხორციელდება ბაკურციხე - გურჯაანის შემოსავლელი გზის მშენებლობის პროექტი (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია გურჯაანის რაიონი, სოფელი ბაკურციხეში, მდებარე მოქალაქე გიორგი ძველიშვილის (პ/ნ 13001011436) საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ №51.14.61.231 მთლიანი ფართობის 428 კვ.მ ნაწილი, საექსპროპრიაციო ფართი 227 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა და ნარგავები.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკების მიუხედავად, მოქალაქე **გიორგი ძველიშვილთან** ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების (ს/კ **№51.14.61.231**) ნაწილის, საექსპროპრიაციო ფართი 227 კვ.მ-ის მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 11 აგვისტოს 1-1/356 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება გურჯაანის რაიონი, სოფელი ბაკურციხეში, მდებარე მოქალაქე **გიორგი ძველიშვილის** (პ/ნ 13001011436) საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ **№51.14.61.231** მთლიანი ფართობის 428 კვ.მ-ის ნაწილზე, საექსპროპრიაციო ფართი 227 კვ.მ-ზე და მასზე არსებული შენობა-ნაგებობასა და ნარგავებზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, **გიორგი ძველიშვილის** (პ/ნ 13001011436) საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ **№51.14.61.231** მთლიანი ფართობის 428 კვ.მ ნაწილზე, საექსპროპრიაციო ფართი 227 კვ.მ-ზე და მასზე არსებული შენობა-ნაგებობასა და ნარგავებზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

ფორუმი



# ცხელი ზაფხული კალიფორნიაში

**შინაგან საქმეთა სამინისტროს სპორტსმენთა გუნდი აშშ-ში, კალიფორნიის შტატის ქალაქ ლოს-ანჟელესში, „მსოფლიო პოლიციისა და სახანძრო სამსახურის სპორტულ ოლიმპიადა 2017“-ში მონაწილეობას ღირსეულად აგრძელებს. ქართველმა სამართალდამცველებმა საერთაშორისო ოლიმპიადაზე უკვე 3 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი მოიპოვეს.**

განსაკუთრებით წარმატებით საქართველოს შსს-ს ძალოსნებმა იასპარეზეს. ლევან გილიგაშვილმა 83 კგ წონით კატეგორიაში 190-კილოგრამიანი შტანგა ასწია და ოქროს მედალს დაეუფლა. ასევე, ოქროსმედალოსანი გახდა ვასილ მინდორაშვილი (105 კგ), რომელმაც 185-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა, კობა კობახიძემ (105 კგ) კი 170 კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა და „ვერცხლი“ მოიპოვა.

მოცურავე გიორგი სამარღანიშვილი გულაღმა სტილით ცურვაში ფინიშის ხაზთან პირველი მივიდა და ოქროს მედალი აიღო, ხოლო ქართველმა პოლიციელმა-მოკრივემ ედუარდ იმერლიშვილმა ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

**ბეჟან დოლიძე**

ინტერნეტიდან

# კოლინი ბედნიერია

**ბევრს ეგონა (და არცთუ უსაფუძვლოდ), რომ ვეტერანი ინგლისელი შემტევის უეინ რუნის მშობლიურ “ევერტონში“ გადაბარგება მის ეპატაჟურ ცოლს კოლინ ქრივს არ ეპიტნავებოდა და ბულვარული მედია უკვე ხელებს იფშვნეტდა რუნების ოჯახიდან გამომავალი წივილ-კივილის მოსასმენად, მაგრამ, ნურას უკაცრავად...**

ორი შვილის დედა აცხადებს, რომ იგი ბედნიერია უეინის მშობლიურ ლივერპულში დაბრუნებით, რადგან ეს ის ქალაქია, სადაც ადამიანები წყნარად და კომფორტულად ცხოვრობენ. გარდა ამისა, საყურადღებოა თავად უეინის სიტყვებიც, რომელიც ამბობს, რომ ლივერპულში დაბრუნება მისთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა.

ცნობილია, რომ კოლინი ყოველთვის არ იყო ქმრის გადაწყვეტილებებით კმაყოფილი და მისი კომენტარებიც არაერთხელ გამხდარა ბულვარული მედიის საკბილო, მაგრამ, როგორც ჩანს, მართლაც ყველაფერი მთავრდება და მათ შორის კოლინის ჭირვეულობაც...

**როსტომ რაჭველიშვილი**



ჩოგბურთი

# არანაირი კრიზისი

**საქართველოს პირველმა ჩოგანმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა ცინცინატის ტურნირის სტარტზე საათსა და 53 წუთში ხორვატი ბორნა ჩორიჩი 6:3, 7:6 დაამარცხა.**

პირველ სეტში, 4:3-ზე ბასილაშვილის სასარგებლოდ, ნიკოლოზმა ბრეიკი გააკეთა და სეტებში 1:0 დაწინაურდა, ხოლო მეორე პარტიაში ჩოგბურთელები ტაი-ბრეიკამდე მივიდნენ, სადაც ჩორიჩი 4:2-ს იგებდა, თუმცა, ნიკამ საბოლოოდ 7:5 იმარჯვა.

ურთიერთშეხვედრებში ბასილაშვილი ჩორიჩს 2:0-ს უგებს.

ცინცინატის მასტერსის 1/16-ფინალში ბასილაშვილის მეტოქე მსოფლიო რეიტინგის 240-ე ნომერი, ამერიკელი კრისტიან ჰარისონი იქნება.




**კობა კობახიძე**

თაობა

# უკვე – პლეი-ოფში



**საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონის პლეი-ოფში თამაშის უფლება მოიპოვა. ბუბა ბერიშვილისა და თემურ კანკიას გაწვრთნილმა გუნდმა ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში კოსოვოს ნაკრები 77:48 გაანადგურა და მეორე ადგილი გაინაღდა.**

დაუმარცხებელმა დიდმა ბრიტანეთმა ერთ-ერთ აუტსაიდერ პორტუგალიას 64:54 სძლია და შესაბამისად, მეორე ადგილზე დარჩენილი ჩვენი ნაკრები დღეს მეოთხედფინალში ჩეხეთს შეხვდება, რომელმაც D ჯგუფის ბოლო მატჩი ირლანდიას მოუგო და პირველი ადგილი დიკავა.

კოსოვოსთან მატჩში ირაკლი სულხანიშვილი გამოირჩა, რომელმაც 22 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა. 20 ქულა და 6 მოხსნა ჰქონდა რატი ანდრონიკაშვილს, ვოვა თავქარაშვილის ანგარიშზე კი 18 ქულა და 11 მოხსნაა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

საფეხბურთო მოზაიკა

# ვითომ საკმარისია?!

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და დავების განმხილველმა კომიტეტმა 11 აგვისტოს 85-ე წუთზე შეწყვეტილი „ლოკომოტივი“ – „ტორპედოს“ მატჩისას მომხდარი ინციდენტები განიხილა.**

კომიტეტმა ორივე კლუბის წარმომადგენლებს მოუსმინა, განიხილა ოფიციალურ პირთა მოხსენებითი ბარათები და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: ორივე კლუბი დაჯარიმებულია 20 000-20 000 ლარით; მომდევნო საშინაო მატჩს თბილისის „ლოკომოტივიც“ და ქუთაისის „ტორპედოც“ უმაყურებლოდ ჩაატარებს; ასევე, კლუბებს სეზონის ბოლომდე მიეცათ პირობითი სასჯელი – მსგავსი ქმედების გამეორების შემთხვევაში 3 ქულის დაკლებით.



და ერთიც: მეოთხე წრეში „ტორპედო“ – „ლოკომოტივი“ უმაყურებლოდ ჩატარდება.

შეგახსენებთ, რომ 11 აგვისტოს, მატჩის შეწყვეტის მომენტში, „ლოკომოტივი“ „ტორპედოს“ 2:0 ამარცხებდა, დარჩენილი დრო გუნდებმა 14 აგვისტოს ითამაშეს და ანგარიში აღარ შეცვლილა.

# ჩემპიონობა შორს არაა

**ზაქარია ბეგლარიშვილმა მორიგი ბურთი გაიტანა ესტონეთის ჩემპიონატში და ერთი საგოლე პასიც მიითვალა. „ფლორამ“ გასვლაზე 3:0 მოუგო „კალევს“, ქართველმა ნახევარმცველმა კი მე-80 წუთზე პენალტი შეაგდო.**

ეს ბეგლარიშვილის მე-13 გოლია სეზონში (22 მატჩში). „ფლორა“ 24 ტურის შემდეგ დაუმარცხებელია: 20 მოგება და 4 ფრე აქვს. გუნდი 7-ქულიანი ჰანდიკაპით ლიდერობს.



ბეგლარიშვილი ესტონეთის სამგზის ჩემპიონია, ორჯერ თასი მოიპოვა და ოთხჯერაც – სუპერთასი.

# „ნაპოლიმაც“ – უარი

**კატალონიის „ბარსელონა“ გამალებით ცდილობს ბრაზილიელი ნეიმარის შემცვლელის პოვნას, მაგრამ ჯერჯერობით – უშედეგოდ. Gazzetta Dello Sport-ის ინფორმაციით, „ბლაუგრანა“ ბოლოს იტალიურ „ნაპოლის“ დაუკავშირდა და ლორენცო ინსინიეს დათმობა შესთავაზა 60 მილიონი ევროს სანაცვლოდ.**

თუმცა, ნეაპოლიტანელებმა კატალონიელები უმალ უარით გაისტუმრეს, რადგან გუნდის ლიდერის გასხვისებას არანაირ ფასად არ აპირებენ. 25 წლის ინსინიემ გასულ სეზონში იტალიის სერია A-ში 37 მატჩი ჩაატარა, 18 ბურთი გაიტანა და 9 საგოლე გადაცემა მიითვალა.

შეგახსენებთ, რომ „ბარსელონას“ ინტერესთა სფეროში „დორტმუნდის“ შემტევი უსმან დემბელე და „ლივერპულის“ გამთამაშებელი ფილიპე კოუტინიოც არიან.

**გიორგი შოთაძე**



# სატენდერო მოწვევა

| | |
|---|---|
| **თარიღი:** | 16 აგვისტო, 2017 |
| **სესხი №. და სახელწოდება:** | 3524-GEO შიდა-სახელმწიფოებრივი გზების გაუმჯობესების პროექტი |
| **კონტრაქტი №. და სახელწოდება:** | RCIP/CW/NCB-01: ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის შიდასახელმწიფოებრივი გზის რეაბილიტაცია, ძირულა-მოლითის გზის მონაკვეთი 0+000 კმ-დან 24+620 კმ-მდე. |
| **სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა:** | 27 სექტემბერი, 2017, 16:00 სთ (ადგილობრივი დროით) |

1. საქართველომ აზიის განვითარების ბანკს მიმართა დაფინანსების მისაღებად შიდასახელმწიფოებრივი გზების გაუმჯობესების პროექტისთვის. აღნიშნული დაფინანსების ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთქმული კონტრაქტის განსახორციელებლად. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ პრეტენდენტებს აზიის განვითარების ბანკის წევრი ქვეყნებიდან.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი („დამკვეთი“) გიწვევთ, წარმოადგინოთ დალუქული სატენდერო წინადადება ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის შიდასახელმწიფოებრივი გზის რეაბილიტაციაზე, ძირულა-მოლითი გზის მონაკვეთი 0+000 კმ-დან 24+620კმ. მშენებლობის პერიოდი შეადგენს 24 თვეს.

3. საერთაშორისო ტენდერი ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთ-ეტაპიანი ერთ კონვერტიანი სატენდერო პროცედურის თანახმად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა პრეტენდენტს, აზიის განვითარების ბანკის წევრი ქვეყნებიდან.

4. ტენდერში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ პრეტენდენტები აზიის განვითარების ბანკის წევრი ქვეყნებიდან, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

**მიმდინარე დავები** - ყველა მიმდინარე სასამართლო პროცესი / არბიტრაჟი ჩაითვლება ტენდერის მონაწილის წინააღმდეგ გადაწყვეტილად, რის შედეგადაც მიღებული თანხა არ უნდა აღემატებოდეს პრეტენდენტის წმინდა კაპიტალის 50%-ს.

**ფინანსური მდგომარეობა:** მონაწილის წმინდა კაპიტალი (რომელიც დაითვლება როგორც სხვაობა ჯამურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის) უკანასკნელი წლისთვის უნდა იყოს დადებითი.

მისი ყოველწლიური საშუალო სამშენებლო ბრუნვა ბოლო სამი (3) წლის განმავლობაში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 35 მილიონ დოლარს.

მონაწილემ უნდა დაადასტუროს რომ მას აქვს ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსები - არანაკლებ 5 მილიონი დოლარისა.

**სამშენებლო გამოცდილება:**

ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში, მონაწილეობა როგორც კონტრაქტორი, ქვე-კონტრაქტორი ან მმართველი კონტრაქტორი მინიმუმ ორ (2) კონტრაქტში, რომელიც მოცემულ შემოთავაზებულ სამუშაოთა მსგავსია. აღნიშნული მსგავსი კონტრაქტში, პრეტენდენტის მონაწილეობა (**პრეტენდენტის** მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება) უნდა აღემატებოდეს 21 მილიონ დოლარს და კონტრაქტი უნდა იყოს წარმატებით ან არსებითად დასრულებული.

**მშენებლობის გამოცდილება შემდეგ ძირითად ღონისძიებებში:**

ერთი წლის განმავლობაში, ასფალტ-ბეტონის საფარიანი, მინიმუმ 10კმ სიგრძის ორ-ზოლიანი გზის მშენებლობა/რეაბილიტაციის გამოცდილება.

ერთი წლის განმავლობაში, საავტომობილო ხიდების მშენებლობა/რეაბილიტაციის გამოცდილება არანაკლებ 2,000მ2 ხიდის საფარის ფართობით.

5. დამატებითი ინფორმაციისა და სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, გთხოვთ მოგვმართოთ::

ბატონი ზაზა სიმონია
მისამართი: ალ. ყაზბეგის 12,. 0160 თბილსი, საქართველო
ტელ: (+995 32) 37 05 08 შიდა:311
ფაქსი: (+995 32) 37 66 03
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

6. სატენდერო დოკუმენტაციის ინგლისურენოვანი ელექტრონული ვერსიის შესაძენად, მონაწილეებმა უნდა:

ა) წარმოადგინონ წერილობითი მოთხოვნა ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის შიდასახემწიფოებრივი გზის რეაბილიტაცია, ძირულა-მოლითი გზის მონაკვეთი 0+000 კმ-დან 24+620 კმ-მდე სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად;

ბ) გადაიხადონ მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით ან მისი ექვივალენტი აშშ დოლარში, რომელიც არ ექვემდებარება დაბრუნებას, შემდეგ ანგარიშზე::

ლარში ანგარიშსწორებისთვის:
Name of the recipient: Treasury Account
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362

დოლარში ანგარიშსწორებისთვის:
Intermediary:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia
IBAN: GE65NB0331100001150207
Payment Designation: Tender fee for the Roads Department for the Dzirula – Kharagauli – Moliti – Pona – Chumateleti Secondary Road, Dzirula – Moliti Road Section from km 0+000 to km 24+620

გ) სატენდერო დოკუმენტაციის თანხის გადახდის შემდეგ, მონაწილეებს შეუძლიათ ეწვიონ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ოფისს და მიიღონ სატენდერო დოკუმენტაციის ელექტრონული ასლი, ან მონაწილეების მოთხოვნის თანახმად მიიღონ სატენდერო დოკუმენტაცია WeTransfer [https://wetransfer.com/] - ის მეშვეობით.

7. გთხოვთ თქვენი სატენდერო წინადადება წარმოადგინოთ:

- ზემოთ მოცემულ მისამართზე.
- არაუგვიანეს 2017 წლის 27 სექტემბრისა, 16:00 სთ (**ადგილობრივი** დროით)
- სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიასთან ერთად.

სატენდერო წინადადებები საჯაროდ გაიხსნება სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადის გასვლის შემდეგ, დაუყოვნებლივ, მონაწილეთა იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ დასწრებას.

**აღნიშნული ტექსტი წარმოადგენს ინგლისურენოვანი სატენდერო მოწვევის არაოფიციალურ თარგმანს. შესაბამისად, უზუსტობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება სატენდერო მოწვევის ინგლისურენოვან ვერსიას.**

# Invitation for Bids

| | |
|---|---|
| **Date:** | 16 August 2017 |
| **Loan No. and Title:** | 3524: Secondary Road Improvement Project |
| **Contract No. and Title:** | SRIP/CW/ICB-01: Rehabilitation of Dzirula – Kharagauli – Moliti – Pona – Chumateleti Secondary Road, Dzirula – Moliti Road Section from km 0+000 to km 24+620 |
| **Deadline for Submission of Bids:** | 27 September 2017, 16:00 hours (local time) |

1. Georgia has applied for financing from the Asian Development Bank toward the cost of **Secondary Road Improvement Project**. Part of this financing will be used for payments under the Contract named above. Bidding is open to bidders from eligible source countries of the ADB.

2. **The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia** ("the Employer") invites sealed bids from eligible Bidders for the ***Rehabilitation of Dzirula – Kharagauli – Moliti – Pona – Chumateleti Secondary Road, Dzirula – Moliti Road Section from km 0+000 to km 24+620*** (the Works). Construction period is twenty-four (24) months.

3. **International competitive bidding** will be conducted in accordance with ADB's Singl-stage% One-Evelope bidding procedure and is open to all Bidders from eligible countries as described in the Bidding Document.

4. Only eligible Bidders with the following key qualifications should participate in this bidding:

Pending Litigation:

All pending litigation and arbitration, if any, shall be treated as resolved against the Bidder and so shall in total not represent more than fifty (50) percent of the Bidder's net worth calculated as the difference between total assets and total liabilities.

Financial Situation:

- The Bidder's net worth for the last year calculated as the difference between total assets and total liabilities should be positive.
- Minimum average annual construction turnover within the last Three (3) years must not be less than USD 35 million (Thirty-Five million United States Dollar) calculated as total certified payments received for contracts in progress or completed.
- Bidder should demonstrate that it has access to financial resources of not less than USD 5 million.

Construction Experience:

Participation in at least two contracts that have been successfully or substantially completed within the last five (5) years and that are similar to the proposed works, where the value of the Bidder's participation exceeds USD 21 million (Twenty-one million United States Dollar).

Construction experience in the following key activities:

Minimum construction experience in the following key activities:

- Construction/Rehabilitation of at least 10 km of 2 lane or equivalent road with Asphalt-concrete surface in any one year
- Construction/Rehabilitation of road bridges with a total combined bridge deck area of at least 2000 m2 in one year

5. To obtain further information and inspect the bidding documents, Bidders should contact:

Mr. Zaza Simonia
Address: 12, Al. Kazbegi Ave. 0160 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 37 05 08 ext.311
Fax: (+995 32) 37 66 03
Email: info@georoad.ge

6. To purchase the **electronic version** of bidding documents in English, eligible bidders should:

a) write to address above requesting the Bidding Documents for Rehabilitation of Dzirula – Kharagauli – Moliti – Pona – Chumateleti Secondary Road, Dzirula – Moliti Road Section from km 0+000 to km 24+620

b) pay a nonrefundable fee of 200 Georgian Lari or equivalent in USD to:

**For GEL transfer:**
Name of the recipient: TREASURY ACCOUNT
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362

**For USD transfer:**
Intermediary: FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia
IBAN: GE65NB0331100001150207

Payment Designation: Rehabilitation of Dzirula – Kharagauli – Moliti – Pona – Chumateleti Secondary Road, Dzirula – Moliti Road Section from km 0+000 to km 24+620

c) Upon payment of nonrefundable Bidding Document fee, Bidders may visit the office of Roads Department to obtain an electronic copy in a flash memory, or upon Bidder's request, the Bidding Document will be sent to the interested Bidders through *WeTransfer [https://wetransfer.com/]*.

7. Deliver your bid:

- to the address above
- **on or before the deadline: 27 September 2017, 16:00 hours (local time)**
- together with a Bid Security as described in the Bidding Document.

Bids will be opened immediately after the bid submission deadline in the presence of Bidders' representatives who choose to attend.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თინა ბაძგარაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თინა ბაძგარაძე (პ/ნ 53001015607), წყალტუბო, დ. გურამიშვილის ქ. №1, ბინა №47.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

წყალტუბო, დ. გურამიშვილის ქ. №1, ბინა №47 (საკადასტრო კოდი: 29.08.33.026.01.047).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 7687.22 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 17 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 5 სექტემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP46363417;

აუქციონის ნომერი: 71271

ლოტის ნომერი: 463634

6. **მოვალე:** გოჩა ბაძგარაძე (პ/ნ 60001024891), ქუთაისი, ლადო ასათიანის ქ. №6.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP46363417; ლოტის ნომერი: 463634).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 5 სექტემბრის, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

---

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ფრიდონ მურადაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ფრიდონ მურადაშვილი (პ/ნ 24001027832), კასპი, ენგელსის ქ. №2.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

კასპი, ქვათახევის მოწამეთა ქ. №2 (საკადასტრო კოდი: 67.01.39.255).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 24816.89 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 17 აგვისტო, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 5 სექტემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP46363617;

აუქციონის ნომერი: 71271

ლოტის ნომერი: 463636

6. **მოვალე:** მიხეილ ქარქიშვილი (პ/ნ 24001001861), კასპი, სოფელი სამთავისი;
   ფრიდონ მურადაშვილი (პ/ნ 24001027832), კასპი, ენგელსის ქ. №2.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP46363617; ლოტის ნომერი: 463636).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 5 სექტემბრის, 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**
**ბათუმი-ახალციხის გზის პროექტი (BARP)**
**სესხის ნომერი. 962**
**დავალების სახელწოდება: პროექტის მენეჯერი**
**კონტრაქტის ნომერი: BARP/CS/ICS-01**

საქართველომ მიიღო სესხი ქუვეითის არაბთა ეკონომიკური განვითარების ფონდისაგან ბათუმი-ახალციხის გზის პროექტის განსახორციელებლად (ხულო-გოდერძის მონაკვეთი). აღნიშნული სესხის ნაწილი მოხმარდება პროექტის ფარგლებში საქონლის, სამუშაოების და საკონსულტაციო მომსახურეობის შესყიდვას, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს ინდივიდუალ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: ***„პროექტის მენეჯერი‘.***

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 2 წელი, ვადის გაგრძელების პერსპექტივით პროექტის განხორციელების პროგრესის მიხედვით. მოსალოდნელია რომ საერთაშორისო კონსულტანტი იმუშავებს საქართველოში 10 კალენდარული დღით ყოველ კვარტალში, რაც ჯამში შეადგენს 40 სამუშაო დღეს კალენდარულ წელიწადში.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ ყველა საჭირო ინფორმაცია რომელიც დაადასტურებს მათ დავალების შესასრულებლად საჭირო გამოცდილებას და კვალიფიკაციას. კანდიდატების რეზიუმე უნდა მოიცავდეს მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალს და მოკლე აღწერილობას.

კონსულტანტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- ბაკალავრის ხარისხი სამოქალაქო მშენებლობაში (უპირატესობა მიენიჭება უფრო მაღალ ხარისხს);
- მინიმუმ 15 წლიანი გამოცდილება საგზაო სექტორში;
- მსგავსი პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება გზების მშენებლობის KFAED - ის მიერ დაფინანსებულ დიდ პროექტებში;
- FIDIC საზედამხედველო და სამშენებლო კონტრაქტების, ასევე საკონტრაქტო კანონმდებლობის ცოდნა;
- ხარისხის კონტროლის პროცედურების ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება;
- მოლაპარაკებების წარმოების უნარი ჩაითვლება უპირატესობად;
- ინგლისური ენის უმაღლეს დონეზე ცოდნა;
- ქართული ენის ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად;
- კომპიუტერული პროგრამების პროფესიონალურ დონეზე ცოდნა, მათ შორის Microsoft Word, Microsoft Excel, Microsoft Project, Autodesk Autocad და electronic mail.

*შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.*

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ–ფოსტის მეშვეობით: info@georoad.ge.

ინტერესის გამოხატვის და მასზე თანდართული შრომითი ბიოგრაფიებისა და სხვა შესაბამისი ინფორმაციის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე, არაუგვიანეს: **2017 წლის 16 სექტემბერი, 17:00 საათი.**

სახელი: ნუგზარ გასვიანი

პოზიცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო.

ელ.ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

---

# REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

**Georgia**
**Batumi-Akhaltsikhe Road Project (BARP)**
**Credit / Loan No. 962**
**Assignment Title: Project Manager**
**Contract No: BARP/CS/ICS-01**

Georgia has received a loan from the Kuwait Fund for Arab Economic Development (KFAED) toward the cost of the Batumi-Akhaltsike Road Project (Khulo - Goderdzi Section) and intends to apply part of the proceeds of this loan to procure goods, civil works and consulting services under the Project with co-financing of the Georgian Government.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites Individual Consultants (Consultants) to express their interest in providing the following services: **"Project Manager"**.

The contract is expected to last 2 years with possibility to downstream assignment, subject to project implementation progress. It is expected that the International Consultant will work in Georgia 10 calendar days in every quarter, which amounts to 40 days in a calendar year.

Interested individuals shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. CVs of the candidates should cover experience in relevant to the project activities.

**Required Qualification of the Consultant:**

- Degree in civil Engineering (advanced degree will be an advantage).
- At least 15 years of experience in the road sector.
- Relevant experience in large civil works projects financed by KFAED.
- Should be well versed with contract law, as well as FIDIC Supervision and Civil Works Contracts;
- Knowledge and practical experience in quality control procedures;
- Very good knowledge of English language is mandatory;
- Strong negotiation skills will be an advantage;
- Proficiency in standard and specialized desktop computer applications, including Microsoft Word, Microsoft Excel, Microsoft Project, Autodesk Autocad and electronic mail.

*Note: The Road Department of Georgia reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.*

Interested consultants may obtain further information by email: info@georoad.ge

Cover letter and CVs of candidates must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than, **September 16, 2017, 17:00 hours.**

Name: Nugzar Gasviani

Position: Deputy Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia

Email: info@georoad.ge

Web-Site: www.georoad.ge

საქმე №1/45-2017

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი 16 აგვისტო 2017 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი"**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **გივი მირიანაშვილი, მზია ლობჟანიძე**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2017 წლის 11 ივლისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი მოპასუხე გივი მირიანაშვილისა და მზია ლობჟანიძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2013 წლის 19 მარტს შპს „ნოვა კრედიტსა" და გივი მირიანაშვილს შორის დაიდო №031311615 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც

შპს „ნოვა კრედიტმა" მსესხებელზე გასცა 6500 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაციელბულ დღეზე.

2013 წლის 19 მარტს შპს „ნოვა კრედიტსა" და მზია ლობჟანიძეს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე მზია ლობჟანიძეს სამჯერ გაეგზავნა როგორც ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, ისე ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ფაქტობრივი ადგილსამყოფელი არასრულია.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე მზია ლობჟანიძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე მზია ლობჟანიძე ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ იმყოფება, მის მიერ მითითებული ფაქტობრივი ადგილსამყოფელი არასრულია, მისი სხვა ფაქტობრივი ადგილსამყოფელი კი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს არბიტრაჟის ვებგვერდზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე მზია ლობჟანიძეს (პირადი №01024036050) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.
2. მზია ლობჟანიძეს განემარტოს, რომ: გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.
   თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.
3. განემარტოს მოპასუხე,მზია ლობჟანიძეს მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.
4. მოპასუხე მზია ლობჟანიძეს ეცნობოს, რომ 2017 წლის 18 სექტემბერს 14:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით გივი მირიანაშვილისა და მზია ლობჟანიძის მიმართ.
5. მზია ლობჟანიძეს ეცნობოს,თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მათ დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.
6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.
8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

---

საქმე № 1/52-2017

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი 16 აგვისტო 2017 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი"**

საარბიტრაჟო მოპასუხე: გელა ხუბუა, გაგა თიბილაშვილი

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2017 წლის 3 აგვისტოს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი მოპასუხე გელა ხუბუასა და გაგა თიბილაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2013 წლის 22 იანვარს შპს „ნოვა კრედიტსა" და გელა ხუბუას შორის დაიდო №011311362 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც

შპს „ნოვა კრედიტმა" მსესხებელზე გასცა 1600 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2013 წლის 22 ივლისი.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაციელბულ დღეზე.

2013 წლის 21 იანვარს შპს „ნოვა კრედიტსა" და გაგა თიბილაშვილს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე გაგა თიბილაშვილს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე გაგა თიბილაშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე გაგა თიბილაშვილი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი კი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს არბიტრაჟის ვებგვერდზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე გაგა თიბილაშვილს (პირადი №01031001305) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.
2. გაგა თიბილაშვილს განემარტოს, რომ: გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.
   თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.
3. განემარტოს მოპასუხე, გაგა თიბილაშვილს მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.
4. მოპასუხე გაგა თიბილაშვილს ეცნობოს, რომ 2017 წლის 29 სექტემბერს 12:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით გელა ხუბუასა და გაგა თიბილაშვილის მიმართ.
5. გაგა თიბილაშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.
6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.
8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

გამოსათხოვარი

# გმირები არ კვდებიან



**14 აგვისტო** არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს. ადამიანის ცნობიერებაში ყოველთვის იბეჭდება რაღაც, რასაც დრო ვერ შველის, თითქოს იმ წერტილის გარშემო ვითარდება ყველაფერი. თქვენი ღიმილი, ერთგულება, მებრძოლი სული, ვაჟკაცობა, შეუვალობა მოგვყვება მთელი ცხოვრება და დღესაც ამ ემოციების, ამ შთაბეჭდილებების ქვეშ ვეჭიდავებით წუთისოფელს, რადგან თქვენ ჩვენთვის იყავით მიზანსწრაფულობის, ერთგულების, არდაცემის და ხანდახან დინების საწინააღმდეგოდ სიარულის სიმბოლო. თავზარი იყო ჩვენთვის რომან გვენცაძის გარდაცვალება, ვიცოდით, ბოლო პერიოდში ავადმყოფობდა, მაგრამ იმდენად მხნე და იმედიანი ჩანდა, რომ ვერ წარმოვიდგენდით მის გარდაცვალებას... მაინც პატარა იმედი გვაქვს, ისევ ძველებურად შეგვეხმიანები შენი ვაჟკაცური ხმით, შენ ხომ გვაფრთხილებდი — „აწი მაინც გავუფრთხილდეთ ერთმანეთსო“. დღეს, როცა ასე ძვირი გახდა მოყვასის ჭეშმარიტი სიყვარული, გვიკვირს, საიდან ჰქონდა მას ამოდენა სიყვარულის ნიჭი. ალბათ, ღმერთმა უწილადა, ცხოვრების ქარტეხილებმა ბოლმით კი არ აავსო, პირიქით, ადამიანები შეაყვარა.

შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის პერიოდში კიდევ უფრო ძალუმად ვიგრძენით, რომ ის ყველას ნამდვილი მეგობარი იყო, ბევრი სიკეთის გაკეთება შეძლო, ვიცნობთ ოჯახებს, სადაც მას სანთელს უნთებენ. მისგან ვისწავლეთ, რომ, რაც არ უნდა ჭკვიანი და წარმატებული იყო, ჩირადაც არ ღირხარ, თუ მარტოსული ხარ და არ გაქვს მეგობრობის ნიჭი. მან დაგვანახვა, რომ ხანდახან პირადის გვერდზე გადადების ხარჯზე უნდა იცხოვრო სხვათა ცხოვრებით და ვინც გიყვარს, ვინც გეძვირფასება მათთვის 24 საათი ფხიზლად ფეხზე უნდა იდგე.

არავითარი საშიშროების წინაშე უკან არ დაიხევდა, სხვისთვის საშიშსა და მიუღწეველს არ შეეპუებოდა. ზოგჯერ ბეწვის ხიდზე გასვლა ერჩია შემრიგებლურ ცხოვრებას. მისთვის დაბრკოლებათა გადალახვა საიდუმლოს უკეთესად შეცნობის გზა იყო, შენი გზა კურთხეულია რომან, რამეთუ, ვალმოხდილი ხარ საკუთარი თავის, საქმისა და ერის წინაშე.

ჭეშმარიტად, გამორჩეულთა რიგს ეკუთვნოდა პოლიციის გენერალ-მაიორი რომან გვენცაძე, პროფესიული, საზოგადოებრივი აღიარება და ავტორიტეტი მნიშვნელოვნად განაპირობა მისმა უსაზღვრო პატრიოტიზმმა, კაცთმოყვარეობამ და ეროვნული თანხმობისთვის დაუდეგარმა ზრუნვამ. იგი იდგა იმ ქართველ მილიციელთა გვერდით, ვინც 1989 წლის 9 აპრილის საბედისწერო ღამეს იმპერიული ძალების შემოტევისას საკუთარი მკერდით დაიცვა მთავრობის სახლის წინ შეკრებილი მომიტინგენი, ძალადობრივ სიკვდილს გადაარჩინა მრავალი ადამიანი.

რომან გვენცაძემ დიდი შრომა გასწია იმისთვის, რომ 1991 წლის შემოდგომაზე, იმდროინდელ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის პიკს მიღწეული დაპირისპირება არ გადაზრდილიყო სისხლისღვრაში. ეს უბედურება მართალია თავიდან ვერ ავიცილეთ, მაგრამ იმის გამო, რომ პოლიცია იარაღით ხელში საბრძოლო მოქმედებებში არ ჩაება რომელიმე მხარის გვერდით, პირიქით, ერთხელ კიდევ შეეცადა ძმათამკვლელი ომის შეჩერებას. ამან უდიდესი გავლენა იქონია მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე. რომან გვენცაძე ხალხის წარმოდგენაში, მიუხედავად სხვა დიდი ღირსებისა და დამსახურებისა, იყო უმაღლესი კლასის ოპერატიული მუშაკი. ეტალონი, სისხლის სამართლის სამძებროს გამორჩეული პროფესიონალი.

რომანის ბიოგრაფიაში იყო პერიოდი, როცა ჩამოსცილდა ოპერატიულ საქმიანობას, მაგრამ იგი არ მისცემია სასოწარკვეთას, თავის მეგობრებთან და თანამოაზრეებთან ერთად წამოიწყო ულამაზესი ტაძრის მშენებლობა თბილისში, ნარიყალაზე, რაც ბოლომდე ღირსეულად მიიყვანა და უწმინდესისა და უნეტარესის კურთხევით სამუდამო სასუფეველი ჰპოვა ტაძრის ეზოში.

ბატონ რომან გვენცაძის პროფესიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ღირსეულად შეფასდა და ის არაერთი სახელმწიფო ჯილდოს მფლობელი იყო.

...შენ ის კაცი იყავი, ქვეყნის სიმშვიდეს, სანთლებს რომ უნთებდი, მაშინაც კი, როცა თავზე სიკვდილის აჩრდილი გედგა. სამაგიეროდ, სილამაზის, ვაჟკაცობის, რაინდობის ღმერთმა მოგძებნა და თავად აუნთო სანთელი შენი სულის მოფარფატე მტრედებს. იმქვეყნად ვის რა წაუღია საგზლად, სახელის და გვარის გარდა. ამ სახელს სიყვარული ან სიძულვილი ჰქვია, თქვენ კი უზომო სევდა, უზომო სიყვარული გაგაცილებთ ამ გზაზე. ეს სიყვარული კი ცივი სამარის კედლებს გაგითბობთ...

საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების ვეტერანთა სახელით —

**გურამ გვეტაძე, ჯემალ გახოკიძე, გივი ლომინაძე, დავით სალარიძე, დემურ მიქაძე, გიორგი ხაზარაძე, ალეკო მიქაბერიძე, ჯემალ ჯანაშია, ვახტანგ გვარამია, სანდრო კავსაძე (არქიმანდრიტი ილია), გურამ ახალაია, ზურაბ მაჩაიძე, ზურაბ ხაჟალია, შენგელი ფიცხელაური, თამაზ სულავა, ჯუმბერ სურმავა, გრიშა შალამბერიძე, გრიშა შონია, ლევან კენჭაძე, ტიტე ლეფსაია, რეზო ნაცარიშვილი, ჯემალ გაბელია.**

---

ბაკურ, გიორგი, ნანა გულუები ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ჩვენი ოჯახის უსაყვარლესი მეგობარი და ნათელმირონი, ვაჟკაცობითა და ერთგულებით სახელგანთქმული ღირსეული მოქალაქე

## რომან გვენცაძე

და სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს.

---

გურამ გოგიაშვილი, სპარტაკ ქობულია და ალეკო ასლანიშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ერთ-ერთი ღირსეული მეოცესაუკუნელი ქართველი რაინდი, სისხლხორცეულად მამულიშვილი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ძველი მეგობარი და ავტორი

## რომან ლევანის ძე გვენცაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# სულიერი ამაღლების შარავანდედი

## ვუძღვნი 9 აპრილის გმირს რომან გვენცაძეს...

**არის თარიღები, რომლებიც დავიწყებას არ ეძლევა!**

**ბევრ მათგანს გმირობის შარავანდედი მოსავს, ნაწილს — სიხარულისა და სიყვარულის, გამარჯვებისა და ზეიმის, ნაწილს კი — დამარცხებისა და სულიერი ამაღლების. სწორედ ასეთი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ვექტორის თანხვედრის ჟამია 1989 წლის 9 აპრილი!**

**9 აპრილის გახსენებისას ყოველი ქართველი ასე ფიქრობს: რით დავიწყო — ცემით თუ სულიერი ამაღლებით?**

**მემატიანეები ქრონოლოგიურად აღწერენ ჟამთა სვლას. მეც არ დავარღვევ ამ წესს...**



9 აპრილის მოვლენათა ეპიცენტრში მომიტინგეებთან ერთად მოხვდნენ მილიციის მუშაკები, რომელთა მიმართ მადლიერება მინდა გამოვხატო. ისინი შიშველი ხელებით, უიარაღოდ წინ აღუდგნენ ჯალათებს (სპეცმედესანტეებს) და რომ არა მათი თავგანწირვა, მსხვერპლი გაცილებით (ათეულობით) მეტი იქნებოდა.

მე, როგორც ამ მოვლენის ეპიცენტრში მყოფს და ჯალათებისთვის წინააღმდეგობის გამწევ რიგით მონაწილეს, მსურს, კიდევ ერთხელ მოვუთხრო მკითხველს მომხდარისა და მილიციელთა თავგანწირვის შესახებ.

იმ ავბედით დღეს ეპიცენტრში 50-მდე მილიციელი იყო, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, იმჟამად თბილისის მილიციის უფროსი, გენერალ-მაიორი რომან გვენცაძე.

დანახულმა შეგვძრა. მე, თბილისის მილიციის უფროსი, ბატონი რომან გვენცაძე, აწ გარდაცვლილი გივი ნაცვლიშვილი, გივი მჭედლიშვილი და ყველა ღირსეული მილიციელი იმავე წამს შიშველი ხელებით (იარაღი ჩამორთმეული გვქონდა) წინ აღვუდექით მედესანტეებს. პირადად მე, ერთ მათგანს, რომელიც წინ მოიწევდა, ხელი ვკარი, რომ შემეჩერებინა; ჩემს გაცხარებაზე, ჩემს გვერდით მდგარმა რომან გვენცაძემ მუშტად შეკრული ხელი მკერდზე მიაბჯინა რუს მედესანტეს და მოჭარბებული ძალით უბიძგა. მედესანტე წაბარბაცდა. ჩვენ გამწარებულებმა ვუყვირეთ: „ რატომ ხოცავთ ხალხს?! რატომ ეპყრობით ასე?!“ მზად ვიყავით, გვეცემა ისინი, ჩვენ უკან მდგარ ხალხთან კი არ მიგვეშვა. ჩვენმა წინააღმდეგობამ და შეძახილებმა შედეგი გამოიღო! რუსი მედესანტეები შეჩერდნენ, შეწყვიტეს ხალხის ხოცვა-ჟლეტა. თუ არა ქართული მილიციის თავგანწირვა და წინააღმდეგობა, მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა!

როგორც ჩანს, დამსჯელ მედესანტეთა ქმედებებს მათი ხელმძღვანელობა ადევნებდა თვალს და მათ უკან დახევა უბრძანეს.

ჩვენ, ეპიცენტრში მყოფი მილიციელები, ღმერთმა დაგვიფარა, მაგრამ ნანახით გულდამძიმებული და განადგურებული ვიყავით. ძალა მოვიკრიბეთ და შეშინებული და ბუჩქნარში მიმალული მომიტინგეების მშვიდობიან ადგილზე, ზემოთ პარლამენტის ეზოში მდგარი ავტობუსებისკენ გაყვანა დავიწყეთ. ბევრ მათგანს გაქცევის ძალაც აღარ ჰქონდა, ზოგი უგრძნობლად იყო და ხელით გაგვყავდა. ძალიან მძიმე სურათი იყო! იმ წუთში არცერთი ჩვენგანი არ ფიქრობდა საკუთარ თავზე, ოჯახზე, ცოლშვილზე. ჩვენი მთავარი საზრუნავი ხალხის გადარჩენა იყო!

ვფიქრობ, ყველა ჩემმა კოლეგამ, მათ შორის მეც, ბატონი რომან გვენცაძის ხელმძღვანელობით, ნამდვილი გმირობა გამოვიჩინეთ, და ბედნიერი ვარ, თუნდაც რამდენიმე სიცოცხლე რომ ვიხსენი ჯალათებისგან!

მოგვიანებით ტრაგედიის ადგილზე მოვიდა სპეცდესანტის ახმახი და ჩამომხმარი მეთაური, წოდებით გენერალ-ლეიტენანტი (გვარს ვერ ვიხსენებ), რომელთანაც გამოვხატეთ ჩვენი მკაცრი პროტესტი. მან რაციით ბრძანება გასცა და უცებ მოსულმა შეიარაღებულმა სამხედროებმა ავტომატების მუქარით ჩაგვიყვანეს რუსთაველის გამზირზე, მუქარითვე მიგვიყვანეს ყოფილი **„იმელის“** შენობაში და იქ დაგვაკავეს, არ სჯეროდათ, თუ მილიციელები ხართ, წინააღმდეგობას რატომ გვიწევთო! ვიდრე არ დაადგინეს, რომ მართლაც მილიციელები ვიყავით (ამის დადგენას კი დასჭირდა გარკვეული დრო), არ გაგვათავისუფლეს.

„იმელიდან“ გამოსულებმა მონდომებით განვაგრძეთ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. უკვე დილის შვიდი საათი იყო. ამ დროისთვის მომხდარ ამბავთან დაკავშირებით ინფორმაცია უკვე გავრცელებული იყო და ხალხი ყველა მხრიდან მოაწყდა რუსთაველის გამზირს, თუმცა პროსპექტი გადაკეტილი დახვდა. ყველანი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში შეიკრიბნენ, სადაც ტრაგედიაზე ინფორმაციას ავრცელებდა მაშინ მთლად ახალგაზრდა გულანთებული მწერალი დათო ტურაშვილი და მომხდარში, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას ადანაშაულებდა.

დრო გადის, იცვლებიან თაობები. სამშობლოსთვის თავგანწირული მამულიშვილების ამბავი კი მამიდან შვილს გადაეცემა და მათ სახელებს დავიწყება არ უწერია!

ნათელი დაადგეს გარდაცვლილთა სულებს!

მადლობა და დიდება ქართველ ერს!

მადლობა რუსთაველზე მობილიზებულ პოლიციის ყველა სტრუქტურის მილიციელს, ყველა ოპერმუშაკს!

**აპოლონ გადელია,**

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თადარიგის პოლკოვნიკი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

## გამოსათხოვარი

მაგული, ანუკა ხუნწელიები, ღუღუნი, ვახტანგ ყურაშვილები, გენო ტლაშაძე, თემურ ჯოჯუა, გია ბოლქვაძე, სპარტაკ ხუნწელია უდიდესი გულისტკივილით იუწყებიან საყვარელი ძმის

**რომან გვენცაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.



მურიკო თოფურიძე, ელიზბარ ლომინაძე, თამაზ დაუშვილი, თენგიზ კალანდაძე, გეგუ მუშკუდიანი, ჯემალ უგულავა, ჯიმი ბროძელი, პეტრე ბერაია, დავით ზეიკიძე, ლაური ჯანაშია, თენგიზ გობეჩია, ვაჟა ქადაგიშვილი დიდი გულისტკივილით იუწყებიან უდიდესი პროფესიონალის, უკეთილშობილესი პიროვნების

**რომან გვენცაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს.



მეუღლე ანზორ ფეიქრიშვილი, შვილები დავითი, ნინო, შვილიშვილები ანი, გიორგი, ნესტანი, ქეთევანი, ანზორი, სიძე ლუკა გონგაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლამარა ილიას ასული ფეიქრიშვილი (ხადური)**

პანაშვიდი: 17, 18 VIII, 18 სთ;

დაკრძალვა: 18 VIII (საბურთალოს ამაღლების ტაძრიდან) 15 სთ. მის: კ. კეკელიძის ქ. 15, ბ. 7.

## საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს ბათუმის შემოვლითი გზის კმ-1+000 – კმ 13+325 მონაკვეთის მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა შემდეგი უძრავი ქონება (შემდგომში -საექსპროპრიაციო ქონება):

1. უძრავი ქონება ს/კ 22.21.10.261 (მის: ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი განთიადი, 2502 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა), მესაკუთრე ავთანდილ მახარაძე (პ/ნ: 61007005635), საექსპროპრიაციო ფართი 1278 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული ნარგავები;

2. უძრავი ქონება ს/კ 22.22.15.072 (მის: ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი ორთაბათუმი, მიწის ნაკვეთის საერთო ფართი 2565.00 კვ.მ (წინა ნაკვეთის ნომერი 22.22.15.052; 22.22.15.053)), მესაკუთრე ემზარ ბაკურიძე (პ/ნ 61007000066), საექსპროპრიაციო ფართი 223 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა;

3. უძრავი ქონება ს/კ 05.34.23.132 (მის: ქ. ბათუმი, ახალგაზრდობის ქუჩა №30, 2502 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა), მესაკუთრეები ლელა ახვლედიანი (პ/ნ 61006073035) და რამაზ ახვლედიანი (პ/ნ 61006073599, საექსპროპრიაციო ფართი 221 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობა და ნარგავები;

4. უძრავი ქონება ს/კ 05.34.23.431 (მის: ქ. ბათუმი, ახალგაზრდობის ქუჩა №30ა, მიწის ნაკვეთი 658 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა) მესაკუთრე ლელა ახვლედიანი (პ/ნ 61006073035), საექსპროპრიაციო ფართი 658 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა და ნარგავები;

5. უძრავი ქონება ს/კ 05.34.23.598 (მის: ქალაქი ბათუმი, დასახლება მახინჯაური, ქუჩა ამაღლება, №28-ის მიმდებარედ, მთლიანი ფართი 134 კვ.მ), მესაკუთრე არჩილ ბერიძე (პ/ნ: 61002013220), საექსპროპრიაციო ფართი 134 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული ნარგავები;

6. უძრავი ქონება ს/კ 22.21.01.145 (მის: ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი მწვანე კონცხი, საერთო ფართი 2001 კვ.მ, მესაკუთრე სერგო იონახი (პ/ნ 61001009062)). საექსპროპრიაციო ფართი 2001 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა და ნარგავები;

7. უძრავი ქონება ს/კ 22.21.03.313 (მის: ხელვაჩაურის რაიონი, დაბა მახინჯაური, საერთო ფართი 1580 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა და ნარგავები (საექსპროპრიაციო სრულად), ს/კ 22.21.03.283 (მის: ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი მახინჯაური, მიწის ნაკვეთის 1581 კვ.მ (საექსპროპრიაციო 258 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა და ნარგავები) და ს/კ 05.34.23.578 (მის: ქალაქი ბათუმი, დაბა მახინჯაური 692 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა და ნარგავები (საექსპროპრიაციო სრულად) მესაკუთრე შადიე ჩიჯავაძე (პ/ნ 61007008265);

8. უძრავი ქონება ს/კ 05.34.23.497 (მის: ქ. ბათუმი, დაბა მახინჯაური, ხიმშიაშვილის ქუჩა №21, საერთო ფართი 686 კვ.მ,) მესაკუთრეა ლეილა გოგვაძე (პ/ნ: 61001032287), საექსპროპრიაციო ფართი 150 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა და ნარგავები;

9. უძრავი ქონება ს/კ 22.22.09.858 (მის: ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი წინსვლა/სოფელი სალიბაური, საერთო ფართი 2950 კვ.მ მიწის ნაკვეთი) მესაკუთრე შპს „კვადრი“(ს/ნ: 448399867) საექსპროპრიაციო ფართი 1514 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა.

10. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 22.22.09.007 (მდებარე ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი ორთაბათუმი) 3576 კვ.მ და მასზე არსებული შენობა/ნაგებობა. მესაკუთრე ნიაზ ჭანიძე (პ/ნ: 61003009899).

11. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 22.22.13.030 (მდებარე ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი ქვედა სამება) 426 კვ.მ და მასზე არსებული შენობა/ნაგებობა და ნარგავები. მესაკუთრე გოჩა ჯაფარიძე (პ/ნ: 61010008483).

12. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 22.22.09.116 (მდებარე ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი წინსვლა) 2337 კვ.მ და მასზე არსებული შენობა/ნაგებობა და ნარგავები. მესაკუთრე ჯამბულ ჩიკვაიძე (პ/ნ: 61001024126).

13. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 05.35.22.022 (მდებარე ქ. ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, აღმაშენებლის №9) 5219 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა 302.70 კვ.მ. მესაკუთრე შპს „ჩემპიონი–2“ (ს/ნ: 248416432).

14. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 05.35.28.071 (მდებარე ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის №258) 39 880 კვ.მ-ის ნაწილი 5559 კვ.მ. და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა 1569.80 კვ.მ. მესაკუთრე შპს „ლუგო“(ს/ნ: 245546681).

15. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 05.35.22.024 (მდებარე ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №371) 17 672 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა. მესაკუთრე სს „ავტომობილისტი 96“ (ს/ნ: 248383841).

16. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 05.35.22.067 (მდებარე ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №371) 5828 კვ.მ. და მასზე არსებული შენობა/ნაგებობა. მესაკუთრე სს „ავტომობილისტი 96“ (ს/ნ: 248383841).

17. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 22. 22.09.338 (მდებარე ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი წინსვლა) 1702 კვ.მ-ის ნაწილი 224 კვ.მ. და მასზე არსებული შენობა/ნაგებობა. მესაკუთრე ლეილა გოგიაშვილი(პ/ნ 61002007829).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, საექსპროპრიაციო ქონების მესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების ნებაყოფლობით გასხვისებაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, საექსპროპრიაციო ქონების მესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. საექსპროპრიაციო ქონების მესაკუთრეები ინფორმირებული იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 11 აგვისტოს №1-1/355 ბრძანებით, რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება ზემოხსენებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით, შემდეგ ქონებაზე:

1. უძრავი ქონება ს/კ 22.21.10.261 (მის: ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი განთიადი, 2502 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა), მესაკუთრე ავთანდილ მახარაძე (პ/ნ: 61007005635) , საექსპროპრიციო ფართი 1278 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული ნარგავები;

2. უძრავი ქონება ს/კ 22.22.15.072 (მის: ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი ორთაბათუმი, მიწის ნაკვეთის საერთო ფართი 2565.00 კვ.მ (წინა ნაკვეთის ნომერი 22.22.15.052; 22.22.15.053)), მესაკუთრე ემზარ ბაკურიძე (პ/ნ 61007000066), საექსპროპრიაციო ფართი 223 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა;

3. უძრავი ქონება ს/კ 05.34.23.132 (მის: ქ. ბათუმი, ახალგაზრდობის ქუჩა №30, 2502 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა), მესაკუთრეები ლელა ახვლედიანი (პ/ნ 61006073035) და რამაზ ახვლედიანი (პ/ნ 61006073599, საექსპროპრიაციო ფართი 221 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობა და ნარგავები;

4. უძრავი ქონება ს/კ 05.34.23.431 (მის: ქ. ბათუმი, ახალგაზრდობის ქუჩა №30ა, მიწის ნაკვეთი 658 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა) მესაკუთრე ლელა ახვლედიანი (პ/ნ 61006073035), საექსპროპრიაციო ფართი 658 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა და ნარგავები;

5. უძრავი ქონება ს/კ 05.34.23.598 (მის: ქალაქი ბათუმი, დასახლება მახინჯაური, ქუჩა ამაღლება, №28-ის მიმდებარედ, მთლიანი ფართი 134 კვ.მ), მესაკუთრე არჩილ ბერიძე (პ/ნ: 61002013220), საექსპროპრიაციო ფართი 134 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული ნარგავები;

6. უძრავი ქონება ს/კ 22.21.01.145 (მის: ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი მწვანე კონცხი, საერთო ფართი 2001 კვ.მ, მესაკუთრე სერგო იონახი (პ/ნ 61001009062)). საექსპროპრიაციო ფართი 2001 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა და ნარგავები;

7. უძრავი ქონება ს/კ 22.21.03.313 (მის: ხელვაჩაურის რაიონი, დაბა მახინჯაური, საერთო ფართი 1580 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა და ნარგავები (საექსპროპრიაციო სრულად), ს/კ 22.21.03.283 (მის: ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი მახინჯაური, მიწის ნაკვეთის 1581 კვ.მ (საექსპროპრიაციო 258 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა და ნარგავები) და ს/კ 05.34.23.578 (მის: ქალაქი ბათუმი, დაბა მახინჯაური 692 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა და ნარგავები (საექსპროპრიაციო სრულად) მესაკუთე შადიე ჩიჯავაძე (პ/ნ 61007008265);

8. უძრავი ქონება ს/კ 05.34.23.497 (მის: ქ. ბათუმი, დაბა მახინჯაური, ხიმშიაშვილის ქუჩა №21, საერთო ფართი 686 კვ.მ,) მესაკუთრეა ლეილა გოგვაძე (პ/ნ: 61001032287), საექსპროპრიაციო ფართი 150 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა და ნარგავები;

9. უძრავი ქონება ს/კ 22.22.09.858 (მის: ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი წინსვლა/სოფელი სალიბაური, საერთო ფართი 2950 კვ.მ მიწის ნაკვეთი) მესაკუთრე შპს „კვადრი“(ს/ნ: 448399867) საექსპროპრიაციო ფართი 1514 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა.

10. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 22.22.09.007 (მდებარე ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი ორთაბათუმი) 3576 კვ.მ და მასზე არსებული შენობა/ნაგებობა. მესაკუთრე ნიაზ ჭანიძე (პ/ნ: 61003009899).

11. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 22.22.13.030 (მდებარე ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი ქვედა სამება) 426 კვ.მ და მასზე არსებული შენობა/ნაგებობა და ნარგავები. მესაკუთრე გოჩა ჯაფარიძე (პ/ნ: 61010008483).

12. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 22.22.09.116 (მდებარე ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი წინსვლა) 2337 კვ.მ და მასზე არსებული შენობა/ნაგებობა და ნარგავები. მესაკუთრე ჯამბულ ჩიკვაიძე (პ/ნ: 61001024126).

13. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 05.35.22.022 (მდებარე ქ. ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, აღმაშენებლის №9) 5219 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა 302.70 კვ.მ. მესაკუთრე შპს „ჩემპიონი–2“ (ს/ნ: 248416432).

14. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 05.35.28.071 (მდებარე ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ?258) 39 880 კვ.მ-ის ნაწილი 5559 კვ.მ. და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა 1569.80 კვ.მ. მესაკუთრე შპს „ლუგო“(ს/ნ: 245546681).

15. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 05.35.22.024 (მდებარე ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №371) 17 672 კვ.მ და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა. მესაკუთრე სს „ავტომობილისტი 96“ (ს/ნ: 248383841).

16. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 05.35.22.067 (მდებარე ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №371) 5828 კვ.მ. და მასზე არსებული შენობა/ნაგებობა. მესაკუთრე სს „ავტომობილისტი 96“ (ს/ნ: 248383841).

17. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 22. 22.09.338 (მდებარე ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი წინსვლა) 1702 კვ.მ-ის ნაწილი 224 კვ.მ. და მასზე არსებული შენობა/ნაგებობა. მესაკუთრე ლეილა გოგიაშვილი(პ/ნ 61002007829).

◉ რას არ გაიგებ!..

## კლინტონს ეკლესიაში წასვლა უნდა



**აშშ ყოფილი სახელმწიფო მდივანი და პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი ჰილარი კლინტონი შესაძლოა, ქრისტიანულ-მეთოდისტური ეკლესიის მოძღვარი გახდეს.** ამის შესახებ პასტორმა ბილ შილადიმ განუცხადა, რომელიც კლინტონების ოჯახთან უკვე 20 წელია, მეგობრობს. **„ერთ-ერთი ფოტოსესიისას მან საკუთარი სურვილი გამიმხილა. როდესაც ჩავეკითხე, სერიოზულად მეუბნებოდა თუ არა ამას, მან მითხრა, რომ ეს ნამდვილად სურს,“** — აცხადებს პასტორი.

## ბრიტანეთი ევროკავშირს საბაჟო კავშირს სთავაზობს

**ლონდონი აცხადებს, რომ საბაჟო კავშირი მხოლოდ გარდამავალ პერიოდში იმოქმედებს. გარკვეული დროის შემდეგ კი ბრიტანეთი კავშირს დატოვებს.** დროებითი კავშირის პირობებში ევროკავშირსა და ბრიტანეთს შორის სავაჭრო ურთიერთობა უცვლელი დარჩება, თუმცა ლონდონი უფლებას იტოვებს, ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთანაც აწარმოოს მოლაპარაკებები.



## კიმ ჩენ ინი გუამის დაბომბვას გეგმავს

**ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა შეიარაღებული ძალების მზადყოფნა შეამოწმა.** კიმ ჩენ ინს არმიის ხელმძღვანელობამ გუამის ამერიკულ ბაზაზე თავდასხმის გეგმაც გააცნო. გუამზე თავდასხმის გეგმის მზადების შესახებ ფხენიანმა გასულ კვირას განაცხადა, რასაც ვაშინგტონის მწვავე რეაქცია მოჰყვა.

## ბილ გეიტსმა ქველმოქმედებისთვის უპრეცედენტო თანხა გაიღო



**Microsft-ის დამფუძნებელმა ბილ გეიტსმა 2000 წლის შემდეგ ქველმოქმედებაზე უპრეცედენტოდ დიდი თანხა დახარჯა.** გავრცელებული ინფორმაციით, შემოწირულობის რაოდენობამ 4,6 მილიარდი დოლარი შეადგინა. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ მიიღო შემოწირულობა. გეიტსი თანხებს სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდებში რიცხავს, რომლებიც მეუღლესთან ერთად დააარსა.

## ირანი ბირთვული შეთანხმებიდან გასვლით იმუქრება

იმ შემთხვევაში, თუ შეერთებული შტატები ირანის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას გააგრძელებს, თეირანი ბირთვული შეთანხმებიდან დაუყოვნებლივ გავა. ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ განაცხადა.

**„თუ მათ ძველი პრაქტიკის გაგრძელება სურთ, ჩვენ შეთანხმებას დავტოვებთ და ამას თვეები და წლები არ დასჭირდება. ჩვენ ამას უახლოეს საათებში გავაკეთებთ,“** — აღნიშნა როუჰანიმ.

## სტიქიამ 100-ზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა

**ინდოეთში სტიქიის შედეგებს ითვლიან. ბოლო მონაცემებით, წყალდიდობამ და მეწყერმა ქვეყნის ჩრდილოეთ პროვინციებში 100-ზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა.** მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია 64 გარდაცვლილის შესახებ. სტიქიური უბედურების ზონიდან 183 ათასი ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა.



◉ ყველაფერი ყველაფერზე

## ტკბილი ანტიდეპრესანტი

**დეპრესიის გამკლავება, თურმე... ნაყინით შეიძლება, — გვარწმუნებენ ბრიტანელი მეცნიერები.**



ექსპერიმენტის მსვლელობისას მოხალისეებს თითო ულუფა ნაყინის მირთმევა შესთავაზეს, რის შემდეგ მკვლევარებმა თავის ტვინის რეაქციები მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის მეშვეობით შეისწავლეს. აღმოჩნდა, რომ ნაყინმა საგრძნობი ზეგავლენა მოახდინა თავის ტვინის იმ ზონებზე, რომლებიც სიხარულის შეგრძნებაზეა პასუხისმგებელი. ამასთან, მკვლევარებმა ისიც გაარკვიეს, რომ ქალა-ტვინის ამ უბნების გააქტიურებისთვის საკმარისია ერთი კოვზი ნაყინიც, რომლის ჭამის შემდეგ კაცს უკვე გუნება-განწყობა უუმჯობესდება!

## გაცხელება თუ გაცივება?



**საკვების გემოზე ზეგავლენას... მისი ტემპერატურა ახდენს.**

მაგალითად, მჟავე გემო უფრო ძლიერად ცხელ კერძებში აღიქმება, მწარე კი, პირიქით, ცივებში. კანადელ მეცნიერთა მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტებში დეგუსტატორებს რამდენიმე სახეობის ხსნარის დაგემოვნება შესთავაზეს — მჟავის, ტკბილის, მწარესი და მწკლარტეს, რომლებიც სხვადასხვა, 5-დან 35 გრადუსამდე იყო გაცხელებული. აღმოჩნდა, რომ მჟავე და მწკლარტე გემო უკეთ აღიქმება გაცხელების დროს, მწარე — გაცივებისას, ტკბილზე კი ტემპერატურის ცვლილება, ფაქტობრივად, არ მოქმედებს.

გარდა ამისა, მკვლევარებმა ისიც დაადგინეს, რომ ზოგიერთი გამოსაცდელის ენის შესაბამისი ნაწილის გათბობის, ან გაცივების დროს, მათ გემოს შეგრძნება მაშინაც წარმოეშვებოდათ, როცა არც კი ჭამდნენ.

## მზაკვრული... შიმშილი

**გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ უამრავი ადამიანი „ფარულად“ შიმშილობს.**

„ფარული“ შიმშილი — ეს არა რაციონის არასაკმარისი კალორიულობაა, არამედ მოხმარებულ საკვებში ვიტამინებისა და მიკროელემენტების უკმარისობაა. ამის მიზეზი მარტივია: იმის გამო, რომ ენერგიის ხარჯვა შემცირდა, ადამიანებმა ბევრი „ფუჭი კალორიის“ მოხმარება დაიწყეს, რასაც შედეგად ჭარბი წონის აკრეფა მოყვა. მიწის სამეწარმეო გამოყენებამ მისი გამოფიტვა გამოიწვია (რის გამოც მასში სასარგებლო ნივთიერებათა შემცველობამ იკლო), ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნა კი იგივე დარჩა.



„ფარული“ შიმშილის შეგრძნება, ჩვეულებრივისგან განსხვავებით, შეუძლებელია, თუმცა კი მას მეტად სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს. ეს განსაკუთრებით ბავშვებს ეხება, რადგან აქტიური ზრდის დროს მკვებავ ნივთიერებათა უკმარისობამ შესაძლოა, განვითარების რღვევა გამოიწვიოს.

ჩვენგან განსხვავებით, დასავლეთის ქვეყნებში ეს საკითხები სწრაფად და რადიკალურად წყდება. მაგალითად, თეოდორ რუზველტის პრეზიდენტობის დროს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, როცა ეს პრობლემა პირველად წამოსწიეს, ფქვილის გამდიდრების გადაწყვეტილება მიიღეს და მას შემდეგ იქაურ მაღაზიებში გაუმდიდრებელი ფქვილი აღარ იყიდება.

## გამაგებინე, რა გინდა?

**აბდაუბდა ლაპარაკის გაგების უნარის ქონას ჩვენ ე.წ. „შიდა გრამატიკის“ ცოდნას უნდა ვუმადლოდეთ, — აცხადებენ ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მეცნიერები.**

მათი გამოკვლევები ადასტურებს ლინგვისტ ნოამ ჰომსკის ნამუშევრების სისწორეს, რომელსაც მიაჩნდა, რომ **გრამატიკული ნიჭი ყოველი ადამიანის ტვინში დაბადებისთანავეა ჩადებული და მეტყველების ჩამოყალიბებაზე ზეგავლენას ახდენს.**

ადამიანის ტვინი ყოველ ფრაზას ისე ამუშავებს, რომ ერთი შეხედვით სრული უაზრობაც კი გასაგები ხდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.3888; ევრო - 2.8059;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0753;
100 რუბლი - 3.9554; თურქული ლირა - 0.6754;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4089;
1000 სომხური დრამი - 4.9933.

**ამინდი 17 აგვისტოსთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +16 | დღე +31 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +12, | დღე +27 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +20, | დღე +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +13, | დღე +30 |
| თბილისი: | ღამე +22, | დღე +28 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge